# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 246 (266) სამშაბათი, 17 დეკემბერი, 1991 წელი ფასი 10 კაპიკი



ქრისტეშობის მეოთხე დღეს (ახ. სტ. 17 დეკემბერი) წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმ. დიდმოწამე ბარბარეს.

ილიოპოლელი წარჩინებული მოქალაქის, წარმართი დიოსკორეს ასული ბარბარე, ღვთის ნებით, ალექსანდრიიდან ჩამოსულმა მღვდელმთავარმა აზიარა წმ. ნათლობის საიდუმლოს. წმიდა სამების მორწმუნე ქალწულმა მოუთხრო მშობელს სამპიროვანი ღმერთის, იესო ქრისტეს მაცხოვნებელი ძალის შესახებ და ამხილა კერპთაყვანისმცემლობის ამაოება. გამხეცებულმა წარმართმა დიოსკორემ მახვილი იძრო და მოსაკლავად გამოენთო ბარბარეს. მოხდა სასწაული. მთა, რომელსაც ლტოლვილი ბარბარე მიადგა შუაზე გაიპო და შეიფარა წმიდანი.

დიდი ხნის ძებნის შემდეგ დიოსკორემ მიაგნო წმ. ბარბარეს და ქალაქის მბრძანებელს, მარტიანეს გადასცა.

საშინელმა ტანჯვამ ვერ გატეხა ქალწული. იგი ურყევად იდგა თავის რწმენაზე და ადიდებდა წმიდა სამებას.

ბოლოს მამამ საკუთარი ხელით მოჰკვეთა თავი წმ. ბარბარეს;

VI საუკუნეში დიდმოწამის წმიდა ნაწილები ილიოპოლიდან კონსტანტინოპოლში გადაასვენებს, ხოლო XII საუკუნეში ალექსი კომნენოსის ასულმა, ბარბარემ რუს მთავარზე იქორწინა და წმიდა ნაწილები კიევში წაასვენეს, სადაც დღემდე განისვენებენ ვლადიმირის საკათედრო ტაძარში.

### კონდაკი წმ. ბარბარესი

სამებასა წმიდასა სარწმუნოებით თაყვანის-ეც და შეუდეგ შენ მსგავსად ბრძანებისა მისისა პატიოსანო მოწამეო და კერპთა საზორველი დაამხვენ და შორის მათსა ილვაწე წმიდაო ბარბარე, მძლავრთა სიცბილნი და შინებანი შეურაცხ-ჰყუენ და ხმა მაღლად ღაღადებს: სამებასა წმიდასა ვესავ და ერთ ღუთაებით ვადიდებ.

---

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### ვ. ს. დათაშვილის ასპინძის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

**გათავისუფლდეს** ვახტანგ სიმონის ძე დათაშვილი ასპინძის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 15 დეკემბერი.

---

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის

## დადგენილება

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში ზოგიერთი დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

გაუქმდეს კასპის 30-ე, დედოფლისწყაროს № 57, და ქედის № 119 საოლქო საარჩევნო კომისიების დადგენილებანი შესაბამისად ვაჟა ოთარაშვილის, ილია რობიტაშვილისა და ალექსანდრე ბოლქვაძის საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრაციის შესახებ, ვინაიდან, აღნიშნული კანდიდატები შეყვანილი არიან პარტიულ სიებში და იმავდროულად იყრიდნენ კენჭს, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატები.

**საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე**
**ა. ჟირაკაძე.**

---

## კანადა ცნობს საქართველოს

**თემა** — კანადის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა — ბუნებრივად წამოიჭრა ამ ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა საუბრის დროს, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილესთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან მურმან ომანიძესთან, რომელმაც ისინი 16 დეკემბერს მიიღო. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: კანადის პარლამენტის წევრი რობერტ კაპლანი, კორპორაცია „ინტერკეპიტელის" პრეზიდენტი ჯონ გრიტსი, ამ კორპორაციის მენეჯერები სტივ უოგმანი და თამარ უშაკოვა.

სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია ნებისმიერი ბიზნესის განვითარების აუცილებელი პირობაა. საქმიანი წრეები ისევე არიან, დაინტერესებული პოლიტიკური პროცესების მშვიდობიანი მიმდინარეობით, როგორადაც პოლიტიკოსები ეკონომიკურ ურთიერთობათა ეფექტიანი განვითარებით. კანადელმა სტუმრებმა განაცხადეს, რომ იმ ტრადიციის საფუძველზე, რომლის მიხედვით, კანადა, როგორც წესი, ამერიკის შეერთებულ შტატებზე ადრე სცნობს ახლად გათავისუფლებულ ქვეყნებს, ისინი დარწმუნებული არიან, რომ მათი ქვეყნის მთავრობა მალე სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას, თავიანთი მხრივ, ისინი, როგორც კანადის საქმიანი წრეების ინტერესების გამომხატველნი, მაქსიმალურად იზრუნებენ ამ მნიშვნელოვანი აქტის დასაჩქარებლად.

ბატონმა მურმან ომანიძემ დელეგაციის წევრებს განუცხადა, რომ ქართველი ერი ღირსეულად დააფასებს მათს მონდომებასა და ღვაწლს. ზოგიერთი ქვეყანა, სამწუხაროდ, ცდილობს თავისი საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებები მსოფლიოს გავლენიანი სახელმწიფოების პოლიტიკურ კურსს მიუსადაგოს. ასეთი პოზიცია, რომელმაც აქა-იქ საქართველოსთან ურთიერთობაშიც იჩინა თავი და ხელოვნურად ამუხრუჭებს ჩვენი ქვეყნის მსოფლიო ერთობაში ინტეგრირების ბუნებრივ პროცესს. კანადის მთავრობის მხარდაჭერა, მისი დამოუკიდებელი პოლიტიკა, უეჭველია, განმუხტავს მდგომარეობას და დადებით შედეგს მოიტანს.

საუბრისას შეეხნენ უცხოური კაპიტალის საქართველოს ეკონომიკაში ინვესტირების, ერთობლივი საწარმოების ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების, ჰიპერინფლაციის პირობებში ბარტერული გაცვლისათვის პრიორიტეტის მინიჭების და სხვა საკითხებს.

სტუმრებმა განაცხადეს, რომ ისინი დარწმუნებული არიან, ქართველი კოლეგების მხარდაჭერაში, რესპუბლიკის ხელისუფლების კეთილგანწყობაში, იმედოვნებენ, რომ საქართველოში ყოველთვის იქნება ისეთი დემოკრატიული მთავრობა, რომელიც საერთო საქმიანობის ცივილიზებულ დონეზე წარმართვის უმთავრესი გარანტია.

სეისი.

## აღვზარდოთ ღირსეული მოქალაქენი

ძალზე ფართოა იმ საკითხების სპექტრი, რომლებიც დღეისათვის სისხლხორცეულია რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისათვის. ამ საკითხების განხილვას მიეძღვნა უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა და განათლების სამინისტროს წარმომადგენელთა თათბირი 13 დეკემბერს პრემიერ მინისტრის მოადგილესთან ბატონ ენვერ ნიკარაძესთან.

განათლების მინისტრმა ბატონმა ელიზბარ ჯაველიძემ, და რექტორებმა ისაუბრეს სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ ზოგიერთი სტუდენტი, აქაოდა სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში ვმონაწილეობო, ლექციებს აცდენს, სემინარულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს. გამოკვეთილად ითქვა, რომ სტუდენტის უპირველესი ვალია წარმატებით სწავლა.

თათბირზე განიხილეს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები 1992 წლისათვის. წინა წლებისაგან განსხვავებით მათში არის ზოგი ცვლილება, მაგრამ ძირითადი კრიტერიუმი უცვლელია: ცოდნა და მხოლოდ ცოდნა განსაზღვრავს აბიტურიენტის სტუდენტად ჩარიცხვას. მიღების წესები ამ დღეებში გამოქვეყნდება. საფუძვლიანი სჯაბაასის საგანი გახდა აგრეთვე კომერციული უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების საქმიანობის საკითხები.

სეისი.

---

## სტუმრად პრეზიდენტთან

გუშინ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო გამოჩენილი გერმანელი რეჟისორი ბატონი ჰერმან ვედეკინდი და ალბერტ შვაიცერის საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთაც გადასცეს პრეზიდენტს ალბერტ შვაიცერის სახელობის მშვიდობის მედალი ცხრა აპრილის დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად.

სიგელში, რომელიც აგრეთვე გადაეცა პრეზიდენტს, ნათქვამია:

„ამ ადამიანებმა ძალადობის წინააღმდეგ თავიანთი მშვიდობიანი პროტესტით გამოხატეს ის სულისკვეთება, რომელსაც ახორციელებდა ალბერტ შვაიცერი.

მათი ხსოვნა განამტკიცებს მშვიდობიან, შერიგებაზე დამყარებულ განვითარებას საქართველოს რესპუბლიკისას".

საარბრიუკენი-თბილისი.

1991, ქრისტეშობისთვე.

**კურატორები: გუნტერ ანდრეას, ლინუს პაულინგ, დომ ჰელდერ კამარა, რობერტ იუნგა, რენა მილლერ, გუნტერ ჰაიპი.**

**სურათზე:** მშვიდობის მედლის გადაცემისას.

**მიხეილ ჯაფარიძის ფოტო** (სეისის ფოტოქრონიკა).



---

*Die Vereinigung Albert-Schweitzer-Friedens-Zentrum,*
*Institut zur Förderung gewaltfreier Politik e.V.*
*Saarbrücken, verleiht posthum den*

## Opfern des 9. April 1989 in Tbilisi

### die Albert-Schweitzer Friedens-Medaille für Versöhnung und Gewaltfreiheit

*Diese Menschen haben durch ihren friedvollen Protest gegen die Unterdrückung ihres georgischen Volkes Zeugnis abgelegt für den Geist der Gewaltfreiheit, wie er durch Albert Schweitzer verkörpert wurde.*

*Ihr Andenken soll Ansporn sein für die friedliche und versöhnungsvolle Entwicklung der Georgischen Republik.*

*Saarbrücken/Tbilisi, Christfest 1991*

*Kuratorium:*
*Günther Anders · Wien*
*Dom Helder Câmara · Recife*
*Robert Jungk · Salzburg*
*Linus C. Pauling · Palo Alto*
*Rhena Miller-Schweitzer · Atlanta-Hodeidah*
*Vorsitzender: Günther Heipp*

---

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### ჯ. კ. დავლიანიძის კასპის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** ჯემალ კონსტანტინეს ძე დავლიანიძე კასპის რაიონის პრეფექტად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 15 დეკემბერი.

---

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### თ. ო. ყორყოლიანის ზუგდიდის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

**გათავისუფლდეს** თამაზ ომარის ძე ყორყოლიანი ზუგდიდის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 14 დეკემბერი.

---

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### ი. თ. ქობალიას ზუგდიდის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** ინდიკო თევდორეს ძე ქობალია ზუგდიდის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 14 დეკემბერი.

---

# ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების თავმჯდომარის სოსო ჯაჯანიძის გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით

**გამარჯობათ** ბატონებო!

ძვირფასო თანამოძმენო, დღევანდელი ჩემი გამოსვლა განაპირობა საქართველოში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ და მისმა უფრო გაუარესებამ მას შემდეგ, რაც გააქტიურდა ეგრეთ წოდებული სტუდენტური მოძრაობა. ეგრეთ წოდებულს იმიტომ ვუწოდებთ, რომ ამ სტუდენტური მოძრაობის უკან იმალებიან ის ბნელი ძალები, რომელთაც წამოიწყეს საქართველოში ამბოხება და ეს ამბოხება დღესაც გრძელდება. ბატონებო, მე მინდა აღვნიშნო, რომ ეს ამბოხება, რომელიც დაიწყო ცხრამეტ აგვისტოს, დიდი ხანია, მზადდებოდა, უკვე, დიახ, მე არა მარტო თვითმხილველი ვარ ამ ამბოხებისა, არამედ უშუალო მონაწილეც და მონაწილეობა მაქვს მიღებული მის მომზადებაშიც და თვითონ ამ ამბოხებაშიც. რა თქმა უნდა, ეს იყო ჩემი შეცდომა და მე ეს ვაღიარე ქართველი ერის წინაშე და მე ეს არ მრცხვენია, რადგან კაცს თავისი შეცდომის აღიარებაზე უნდა ეყოს ნება და ვაჟკაცობა. ჩვენ არ ვიცით, ხვალ და ზეგ რა მოხდება, ამიტომ, მე გადავწყვიტე, ქართველი ერისთვის დეტალურად მომეთხრო თუ რა ხდებოდა ამბოხებამდე და ამბოხების პერიოდში. ეს განაპირობა აგრეთვე იმანაც, რომ მას შემდეგ, რაც მე ამბოხებულები ვამხილე გაზეთ „თბილისის" საშუალებით, მაინც ბევრისთვის გაუგებარი დარჩა და ბევრი კვლავ, ჩვენი სტუდენტები, ყოველ შემთხვევაში ნაწილი ჩვენი სტუდენტებისა მხარს უჭერენ ამ ამბოხებას.

ბატონებო! შეთქმულება მზადდებოდა გამიზნულად და მიზნად ისახავდა საქართველოს ხელისუფლების დამხობას. პირველ პერიოდში, ანუ ივნისის დასაწყისში, შეთქმულები თავიდან იკრიბებოდნენ ზურაბ წერეთლის, ჩვენი მოქანდაკის და მხატვრის ბინაზე ბაგებში. აქ იკრიბებოდნენ თენგიზ კიტოვანი, გოგი ხოშტარია. მოდიოდნენ აგრეთვე სხვადასხვა პირები. მე მხოლოდ ერთი-ორ შეკრებას დავესწარი. და იმიტომ დავყვებოდი გოგი ხოშტარიას ყველგან, რომ არა მარტო მისი თანაშემწე გახლდით, არამედ მისი დაცვის უფროსიც ვიყავი და იქ იკვეთებოდა აზრი, რომ საქართველოში უნდა დამხობილიყო არსებული ხელისუფლება და მის მაგივრად უნდა მოსულიყო უფრო დემოკრატიული, როგორც ისინი ეძახდნენ ამას, უფრო დემოკრატიული წესწყობილება უნდა დამყარებულიყო. მოვლენების განვითარებისდა მიხედვით, მას შემდეგ, რაც გოგი ხოშტარია გაანთავისუფლეს, ხოლო თენგიზ სიგუა გადადგა, გადადგა იმიტომ, რომ იგი გრძნობდა, რომ მასაც იგივე ბედი ელოდა და თავისი ავი საქმიანობის გამო, შეთქმულებმა გადაინაცვლეს თენგიზ სიგუას ბინაზე. შეთქმულები აგრეთვე, იკრიბებოდნენ მინისტრთა კაბინეტშიც. აგრეთვე თენგიზ სიგუას ყოფილ კაბინეტში. ის მოტივი, რომელიც სტუდენტებმა წაუყენეს ბატონ ზვიად გამსახურდიას, როდესაც მათ აღნიშნეს, რომ თენგიზ კიტოვანი მას შემდეგ გავიდა რკონს, რაც პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანება გვარდიის გაუქმების შესახებ. ეს არის ფიქცია და სიყალბე, რადგან მე კარგად ვიცი, რომ მთავრობის დამხობის მცდელობა იყო მანამდეც, 9 აგვისტომდე. სწორედ თენგიზ კიტოვანმა შესთავაზა 17 აგვისტოს თენგიზ სიგუას, რომ მე ჩემი ძალებით ავიღებ მთავრობის სახლსო. თენგიზ სიგუამ მოიყვანა ერთი მიზეზი ამის უარსაყოფად, რომ ქართველი ერი ჯერ ამისთვის მზად არ არისო და ამიტომ, არ განახორციელეს და ამ ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა ამის გამო. ესე იგი, თვითონ თენგიზ სიგუა ამისთვის მზად გახლდათ ბატონებო. გარდა ამისა, როდესაც ლაპარაკობენ გვარდიის გაუქმების შესახებ, მე აგერ მაქვს ქსეროასლი გაზეთ „სვობოდნაია გრუზიიდან", ბატონი პრეზიდენტის ბრძანებისა — **Указ Президента Республики Грузия о реорганизации внутренних войск — Национальной гвардии Министерства внутренних дел Республики Грузия** — დათარიღებული 19 აგვისტო, 1991 წლის. დიახ ბატონებო, რეორგანიზება და არა გაუქმება და ვგონებ, რომ ეს იყო გონიერი გადაწყვეტილება იმის გამო, რომ ქართველი ჭაბუკების სიცოცხლე არ ყოფილიყო ხელყოფილი, რადგანაც, ჩვენ არ ვიცოდით რა მოვლენები განვითარდებოდა შემდგომში მოსკოვში, შემდგომ ამისა, ბატონებო, უკვე ოცდაათ სექტემბერს, თენგიზ კიტოვანმა აიღო ტელევიზია. ტელევიზიასთან უკვე, მე ვხვდებოდი ისეთ პიროვნებებს, როგორებიც არიან ნათაძე, იმნაძე, ჭიული შარტავა, მარგიანი, აგრეთვე კვარაცხელია. ესენი ყველანი ერთად იკრიბებოდნენ და ეს ადამიანები, რომელთაც ადრე ერთმანეთთან საერთო არაფერი ჰქონდათ შეაკავშირა რაღაც მიზანმა და ეს მიზანი დღეს ჩვენთვის ყველასათვის ნათელია. აგრეთვე, თენგიზ სიგუას ბინაზე, სანამ იგი წავიდოდა შავნაბადაზე კიტოვანთან, იკრიბებოდნენ ჩვენი ეგრეთწოდებული დემოკრატი დეპუტატები თედო პაატაშვილის თაოსნობით — ჩორგოლაშვილი, ჟორიდია, დიხამინჯია. დღეს ისინი ამტკიცებენ, რომ არავითარი კავშირი არ ჰქონიათ ამბოხებასთან, არადა ისინი ყოველთვის კოორდინირებას ახდენდნენ მანამდეც და მას შემდეგ რაც კიტოვანმა აიღო ტელევიზია, კოორდინირებას ახდენდნენ თავიანთი მოქმედების შესახებ. კიტოვანთან. აგრეთვე ჩვენც, ბატონებო — მე ცოტა უკან გადავინაცვლებ ახლა. ოცდაოთხ აგვისტოს მეც მქონდა კოორდინირება თენგიზ კიტოვანთან, ჩვენ შეთანხმებულად ვმოქმედებდით. ჩვენმა საზოგადოებამ 24 აგვისტოს დაგეგმა აქცია, ესე იგი ჩვენ აქ უნდა აგვეგორებინა ტალღა და იქიდან უნდა დაგვხმარებოდა თენგიზ კიტოვანი. მაგრამ ამ აქციას განხორციელება არ ეწერა, მე ოცდასამში ამიყვანა მილიციამ, საიდანაც მოვახერხე გამოპარვა, მილიციას შეგნებულად არ ვასახელებ, მისი დისკრედიტაცია რომ არ მოხდეს ამის გამო და ოცდაოთხში, — მე რა მინდა აღვნიშნო მეგობრებო, რომ მე იმდენად დარწმუნებული ვიყავი ჩვენს სიმართლეში, რომ ამანაც ვერ შემაჩერა და ოცდაოთხში კვლავ მივედი იმ ადგილას, სადაც უნდა გაგვემართა აქცია. აქაც მოხდა ჩემი აყვანა. მე წამიყვანეს ბრალდება ცილისწამების გამო. დიახაც, ზუსტად იმიტომ, რომ აღნიშნული ბრძანება და ჩვენი განცხადება არ ეთანხმებოდა სრულებით ერთმანეთს. მე იქ ვლაპარაკობდი გვარდიის გაუქმებაზე და შეურაცხყოფას ვაყენებდი მთავრობის წევრებს სხვადასხვა შეურაცხმყოფელი ფრაზებით. მე ახლა სამართლიანად ვთვლი ჩემს აყვანას ვინაიდან ჩემი ხელით უნდოდათ ბოროტი ზრახვების განხორციელება თავისმჩხრეკელებს. მას შემდეგ, რაც ტელევიზია აღებულ იქნა, მე გამოვაქვეყნე გაზეთ „საქართველოში" პრეზიდენტის გამაკრიტიკებელი წერილი და ნდობა მოვიპოვე ამბოხების მოთავეთა შორის. იმდენად დიდი ნდობა, რომ იარაღით შემეძლო შესვლა თენგიზ სიგუასთან, რომელსაც ბევრი ხალხი დარაჯობდა. ერთ-ერთი ასეთი შესვლის დროს, ეს გახლდათ 27 სექტემბერი, მე შევესწარი მასთან ასეთ საუბარს — ამ საუბარს ესწრებოდნენ ხოშტარია, ქვილითაია და რუსი წარმოშობის ერთი პიროვნება, რომელიც საკმაოდ კარგად ფლობდა ქართულს, მაგრამ აქცენტზე ეტყობოდა, რომ იგი წარმოშობით რუსი იყო. საუბრის დროს ისინი აღნიშნავდნენ, რომ შევარდნაძემ ყველაფერი იცის, რომ შევარდნაძე ყველაფერს ამას დადებითად აფასებს, რომ შევარდნაძე არის ერთადერთი მხსნელი საქართველოსი. მე რა თქმა უნდა გამაოგნა ამ საუბარმა, ამ აზრმა და წარმოიდგინეთ ახლა ჩემი მდგომარეობა, მე მივხვდი, რომ საქართველოს ღალატში მედო წილი. მე რა თქმა უნდა, ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება არ გამომიხატავს მათთან, რადგან ეს რომ გამეკეთებინა ალბათ იხლა ტელევიზორში ვერ გამოვიდოდი, გამოვემშვიდობე მათ, ჩამოვედი ქვემოთ, შევკრიბე ჩვენი საზოგადოების წევრები და ჩემს მეგობრებს განვუცხადე თუ რაც ხდებოდა. ჩემი მეგობრებიც ძალიან შეაფიქრიანა ამან, ყველანი დავფიქრდით ჩვენს საქციელზე და გადავწყვიტეთ გამოვსულიყავით ამბოხებიდან. გამოვსულიყავით, მაგრამ იმისათვის, რომ ბოლომდე დაგვედგინა თუ რა ხდებოდა და ბოლომდე გაგვერკვია ამბოხებულთა პოზიცია, გადავწყვიტეთ ცოტა ხნით კიდევ დავრჩენილიყავით. ოცდარვაში, როდესაც თენგიზ კიტოვანმა განაცხადა, რომ ზვიად გამსახურდიას ბრძანებით შავნაბადაზე დაიხოცა სამოცი კაცი და ატეხა განგაში ოთხ საათზე და მეორე დღეს რომ გაირკვა, რომ ეს იყო სიცრუე, დეზინფორმაცია, რომ საღამოს ცხრა საათზე იყო აყვანილი მხოლოდ სამი გვარდიელი და განთავისუფლებული შავნაბადა, მე ავედი კიტოვანთან და ვუთხარი, რა საჭიროა, რომ იგი ავრცელებს დეზინფორმაციას. მან მითხრა, რომ ასეა საჭირო საქმისათვის და რომ იგი თენგიზს ეტყვის და ხვალ თენგიზ სიგუა გამოაცხადებს, რომ შავნაბადაზე დაიღუპა ხუთი კაცი. ესეც ჩვენთვის გამაოგნებელი იყო ბატონებო, გამაოგნებელი იყო აგრეთვე ის კონტინგენტი, რომელიც ტელევიზიაში იკრიბებოდა, მე აღვნიშნე, მაგრამ გამომრჩა ერთი პიროვნება — მიშა ხანუკოვი თუ არ ვცდები, იცით, შეიძლება ეს გვარი შემეშალოს, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, ის იყო სუკის პირველი განყოფილების უფროსი ტელევიზიაში. (ხანუკაევი შენიშვნა), აგრეთვე ისეთი პიროვნებები, ერთმანეთთან პოლარულად დაპირისპირებული პიროვნებები. იქ იკრიბებოდა ეგრეთ წოდებული ინტელიგენცია, იკრიბებოდნენ ცეკას წევრები: შენგელაია, ლანა ღოლობერიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, და ეს ყველა ადრე დაპირისპირებული ადამიანი დღეს რაღაც მიზნით იყო გაერთიანებული. ეს იყო კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენ დაგვაფიქრა ჩვენმა საქციელმა. აგრეთვე, მერე უკვე ჩემს მეგობრებთან მოლაპარაკებით, ჩვენ პრეფექტურის შენობაში მოვიწვიეთ გოგი ხოშტარია. ჩვენ იქ გვქონდა ჩვენი ოთახი. თქვენ კარგად იცით, რომ პრეფექტურა დარბეულია, მაგრამ პატიოსან სიტყვას ვიძლევი, რომ ჩვენი საზოგადოების არც ერთ წევრს ამაში წვლილი არ შეუტანია. ჩვენ გვქონდა იქ ჩვენი ოთახი, რომელშიც ჩვენ ვისვენებდით ხოლმე. პიკეტიდან ჩვენი ხალხის მოხსნის შემდეგ, იქ ვინახავდით იარაღს. შევედით ამ ოთახში ბატონებო და, — ჩემი ორი მეგობარიც ესწრებოდა შეხვედრას, მაგრამ მე მათს სახელსა და გვარს შეგნებულად არ ვასახელებ — მას შემდეგ, რაც ცოტა შევთვერით, მე ვანიშნე ჩემს ორ მეგობარს და ისინი გავიდნენ. როდესაც დავრჩი მარტო გოგი ხოშტარიასთან, მასთან გავაბი საუბარი შევარდნაძის თაობაზე და საქართველოზე. ჩამოვაგდე საუბარი. იგი გამოტყდა, რომ შევარდნაძე არის ერთადერთი პიროვნება, რომელიც უშველის საქართველოს, რომ საქართველო მეტად პატარაა — იგი რუკაზეც არ ჩანს, იგივე მოსაზრებებია, რაც კომუნისტებს ჰქონდათ, — და რომ თუ უშველის საქართველოს, უშველის ეს ევროპის ინტეგრაციის პროცესი და ამიტომ საქართველო უნდა დარჩეს რუსეთში, რომ რუსეთთან ერთად მოხვდეს ამ პროცესში. ყველაფერი უკვე ნათელი იყო და ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გამოვსულიყავით ამბოხებიდან. გამოვედით ოცდაცხრაში და ოცდაათში გავაკეთეთ განცხადება ამის თაობაზე. აგრეთვე იმავე ხანებში, იმავე დღეებში ჩვენ მივმართეთ ამბოხების მოთავეებს და ამბოხებულებს, რომ დაეწყოთ იარაღი და დამორჩილებოდნენ კანონიერ ხელისუფლებას. მათ ეს ყურად არ იღეს და მე უკვე იძულებული ვიყავი მემხილა ამბოხების მოთავეები, რაც გავაკეთე რვა ნოემბრის გაზეთ „თბილისში", მაგრამ ეტყობა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და მე დღეს კიდევ მზად ვარ ისინი ვამხილო. ვამხილო, იმიტომ, რომ არ ვიცით ჩვენ რა მოხდება ხვალ და ზეგ. არადა ქართველმა ერმა უნდა იცოდეს სრული სიმართლე: რა ხდებოდა, ვინ არიან ამბოხების მოთავეები და რა მიზანი აქვთ მათ. აგრეთვე, მინდა მივმართო იმ სტუდენტებს, ვინც დღესაც სხვადასხვა წვრილმანებს მოითხოვენ პრეზიდენტისაგან. ისინი, ვინც ხვდებოდნენ პრეზიდენტს, მათი უმრავლესი ნაწილი მე კარგად მიცნობს, რამეთუ მე მაშინდელი სპი, დღევანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული. არიან ისეთი პიროვნებები, რომელთან ერთადაც მე ვიბრძოდი კომუნისტური წყობის წინააღმდეგ და ისინი დამეთანხმებიან იმაში, რომ 1989 წლის მარტში, სწორედ ჩემი თაოსნობით გაიმართა პირველი ანტიკომუნისტური აქცია სპი-ში, ისინი ჩემს ხასიათსაც კარგად იცნობენ და იციან, რომ მე მათ არ მოვატყუებდი და ამიტომ მიკვირს ძალიან, რომ როდესაც მე ჩემი ამბოხებიდან გამოსვლის მერე ისინი გავაფრთხილე ფრთხილად ყოფილიყვნენ, რათა ამბოხების მოთავეებს ისინი არ ჩაეთრია ამბოხებაში და არ დაედოთ თავისი წილი საქართველოს ღალატში. მათ ყურად არ იღეს ჩემი შეგონება. მე ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ მათ ჩემი მოსაზრებებით, ჩემი გონებითა და აზრებით უნდა იცხოვრონ, არა ბატონებო, მე კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნო, რომ ისინი მე მიცნობდნენ და იციან, რომ მე არა ვარ ცრუპენტელა კაცი და თუ რამეს ვიტყვი, ვიტყვი იმას ნამდვილს და ჭეშმარიტს. და აი, ზუსტად ამან გამოიწვია ჩემი წყენა, რომ მათ არ დამიჯერეს და მართლაც წარმართეს რაღაც მოგონილი მიზეზებით აქცია. აგრეთვე, მე მათ მინდა განვუმარტო, რომ გადახედონ მათ საქართველოს ისტორიას, გადახედონ აგრეთვე სხვა ქვეყნის ისტორიას — ალბათ გადახედულიც აქვთ და ნასწავლიც აქვთ, და ნათლად დაინახავენ, რომ როდესაც ისინი უყენებენ პრეზიდენტს პრეტენზიებს, რომ რატომ გიყენია შენს გვერდით ყოფილი კომუნისტები, ისინი ამ ისტორიის გადახედვით დარწმუნდებიან, რომ ძლიერი და გონიერი პოლიტიკოსები ურთიერთობას ამყარებდნენ თავის ყოფილ მოწინააღმდეგეებთან და ამას აკეთებდნენ მხოლოდ ქვეყნის ინტერესების გამო. ჩვენ ამის უბადლო მაგალითი გვაქვს თვითონ საქართველოს ისტორიაში, როდესაც მანუჩარ ჯაყელი ციხისჯვარელი, პირველი მტერი სიმონ დიდი — ქართლის მეფისა, როდესაც მობრუნდა საქართველოსკენ და აჯანყების დროშა ააფრიალა სამცხეში. სიმონ დიდს არ უარყვია მისი თანამებრძოლობა. აი, ამ მაგალითების გათვალისწინება გვმართებს, ბატონო სტუდენტებო და, საერთოდ ქართველ ერს მივმართავ, რომ ეს მაგალითები უნდა გავითვალისწინოთ ყველამ და ზედმეტი წვრილმან-წვრილმანი პრეტენზიები არ უნდა წავუყენოთ პრეზიდენტს. აგრეთვე, კიდევ ისტორიიდან მოვიყვან ასეთ მაგალითს: როდესაც დგება ისტორიული მომენტი ქვეყნის ბედიღბლის გადაწყვეტაში, როდესაც ერთ კაცს უნდა ჰქონდეს დიდი ძალაუფლება, როდესაც დგება ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ასეთი მაგალითებია ჩვენს ისტორიაში დავით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალის და უტყუარი მაგალითი იმისა, რომ 1921 წელს საქართველომ კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა, მხოლოდ და მხოლოდ ის იყო, რომ უნიათო ხელმძღვანელობა იყო და ვერ უხელმძღვანელა საქართველოს. მე მოვიყვან აგრეთვე უცხო ქვეყნის მაგალითებსაც — იგივე დე გოლს. მაგალითად, საფრანგეთი დაიშლებოდა „სხვადასხვა რესპუბლიკებად და ქვეყნებად და რა მოხდებოდა ღმერთმა უწყის, დე გოლი რომ არ ყოფილიყო, მოვიყვან აგრეთვე ჩილეს მაგალითს, ამაზე შეიძლება ცოტა გამაკრიტიკონ ჩემმა მეგობრებმა, მაგრამ ჩილეში პინოჩეტი რომ არ ყოფილიყო, ჩილე დღეს ალბანეთზე უარეს მდგომარეობაში იქნებოდა — იქ სოციალიზმი დამყარდებოდა და რა მოელოდა ჩილეს, ღმერთმა უწყის.

ასე რომ, მეგობრებო, ჩვენ სანამ რამეს ჩავიდენთ და რამე პრეტენზიას წავაყენებთ, უნდა ვიცოდეთ და უნდა გავითვალისწინოთ ქვეყნის ბედი და ქვეყნის ისტორია. აგრეთვე მე ვსარგებლობ მომენტით და განვაცხადებ იმას, რომ საქართველოს რესპუბლიკის გვარდიაში არსებობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკი, რომლის შექმნაში მეც მიმიძღვის ჩემი გარკვეული წილი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს ამბოხება მოხდა, ჩვენ არ ვიცით ამ პოლკის ასავალ-დასავალი, არ ვიცით მისი მეთაურების პოზიცია და ასე უპოზიციოდ ყოფნა არ შეიძლება. თუ ისინი კიტოვანთან არიან და ანტიეროვნულ მოძრაობას ეწევიან, მით უმეტეს უარესია მათთვის, და თუ საერთოდ პოზიცია არ გააჩნიათ, ესეც არ არის ლამაზი, ვინაიდან ახლა სამაჩაბლოში ძალიან დაძაბული ვითარებაა, იქ იბრძვიან ქართველი ვაჟკაცები და ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკი იქ უნდა იყოს პირველი. ამიტომაც, თუ ისინი სამი დღის ვადაში, მე ამას სრული სერიოზულობით ვაცხადებ, გამოხატავენ თავის ოფიციალურ პოზიციას არსებული ვითარების მიმართ, ან გაზეთის, ან ტელევიზიის საშუალებით, მაშინ მე ყველა ღონეს ვიხმარ იმისთვის. ვთხოვ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრს, რომ საქართველოს ჯარში შეიქმნას ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის მებრძოლი რაზმი, რომელშიც რასაკვირველია, მეც შევალ და ჩემი მეგობრები საზოგადოებიდან და რომელიც წავა სამაჩაბლოში საომრად და აგრეთვე, კიდევ ერთხელ მინდა მოვუწოდო ჩვენს სტუდენტებს და პირადად ბატონ მამუკა კაციტაძეს — თუ ისინი მართლა ვაჟკაცები არიან, თუ მათ მართლაც შესტკივათ გული საქართველოსთვის. შემოგვიერთდნენ ამ მებრძოლი რაზმის შექმნაში და ჩვენთან ერთად წამოვიდნენ სამაჩაბლოში საომრად, იმიტომ რომ, სამშობლოს სიყვარული მარტო სტიპენდიების გადიდების მოთხოვნა და პროფკავშირების საკითხი კი არ არის, არამედ მისთვის უნდა შეგეძლოს თავის გაწირვაც — ეს ჩვენ ნათლად დაგვანახა ჩეჩნმა ხალხმა, როდესაც ისინი შეკავშირდნენ დიდი და პატარა. ქვეყნის საშიშროების წინაშე. კიდევ ერთხელ, მათ ვეტყვი ასეთ რამეს: ისინი, ალბათ თუ დაოჯახებულები არ არიან, დაოჯახდებიან, შვილებიც წამოეზრდებიან და მათი შვილი ერთხელაც კითხავს — მამა, სად იყავი, როდესაც მიმდინარეობდა ფაქტიური, მე აღვნიშნავ ფაქტიური ომი, რუსეთ-საქართველოს შორის სამაჩაბლოსათვის? როდიხაც სამაჩაბლოში იღვრებოდა წმინდა ქართული სისხლი, სად იყავი შენ? რა უნდა უპასუხონ მათ, რომ რუსთაველზე, სავარძელში ჩამჯდრები ჩვენ სტიპენდიის მომატებას მოვითხოვდით? ეს ხომ, უბრალოდ შერცხვენაა თავისა, არადა იძულებული იქნებიან მოატყუონ და ბავშვის მოტყუება როგორც წესი არ შეიძლება, ბავშვს თუ მოატყუებ, გიღალატებს, შემდგომ ასე, რომ კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მათ, დამიკავშირდნენ, ჩვენ მალე შევქმნით რაზმს და თუ ისინი მართლა საქართველოს მამულიშვილები არიან ჩვენთან ერთად წამოვიდნენ სამაჩაბლოში საომრად. აი, ეს არის, რისი თქმაც მინდოდა, ეს უნდა მეთქვა ყველაფერი თქვენთვის. დიდ მადლობას გიძღვნით ჩემი მოსმენისათვის, მთელ ქართველ ერს კი მოგიწოდებთ ვიაროთ ღმერთის გზით და ღმერთი მაშინ ჩვენთან იქნება.

## პრობლემა

# ქართული ავიაცია დამოუკიდებელი უნდა გახდეს

### საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის ფუნქციონირების მდგომარეობის, სტრუქტურის, სახელმწიფო რეგულირების და საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ

**სახელმწიფო და სამეურნეო დონეზე სამოქალაქო ავიაციის ფუნქციონირების ორგანიზაცია რესპუბლიკის ტერიტორიაზე და განსაკუთრებით საზღვარგარეთ, უაღრესი სპეციფიურობის და გარკვეული სირთულის გამო, უკანასკნელი პერიოდის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებების შედეგად მოითხოვს მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებას. საჰაერო სივრცის და საჰაერო ტრანსპორტის ეფექტურად გამოყენება საჭიროებს საკანონმდებლო, ორგანიზაციული და სამეურნეო სისტემის შექმნას და იგი განხილულ უნდა იქნას როგორც რესპუბლიკის პოლიტიკური სუვერენიტეტის მიღწევის, სამეურნეო კომპლექსის დაჩქარებული განვითარების, უცხოეთის სახელმწიფოებთან თანამშრომლობის და მსოფლიო მეურნეობაში აქტიურად ჩართვის ერთ-ერთ უმთავრეს პირობად.**

**ავიაციის მთელი არსებობის პერიოდში საქართველოში არ შექმნილა არც ერთი კანონი ან საკანონმდებლო აქტი, რომელმაც უნდა დაარეგულიროს საჰაერო სივრცის გამოყენების წესი, საჰაერო ფლოტის რეგისტრაციის, სერთიფიკაციის დამოუკიდებლად წარმოება და განკარგვა, აეროპორტების და აეროდრომების ფუნქციონირება, უსაფრთხო ფრენის უზრუნველყოფა, ეკოლოგიური დაცვა და სხვა. აღნიშნულის უქონლობა კი თავის მხრივ არ იძლევა საშუალებას საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს დაექვემდებაროს საქართველოს საჰაერო სივრცეში საერთაშორისო, სამხედრო, სამოქალაქო, სასწავლო ან სხვა მიმოსვლა.**

**სსრ კავშირის ყოფილი სამოქალაქო ავიაციის სამინისტრო, რომელშიც შედიოდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო, იყო სრულიად მონოპოლიზებულ-ცენტრალიზებული. დამოუკიდებლად არ ხორციელდება არც საჰაერო ფლოტის შეძენა, არც მიმოსვლის ორგანიზაცია, არც სახმელეთო ობიექტების დაგეგმარება-განვითარება და სხვა.**

**მოქმედებს რა ჩაკეტილ გარემოში, ქართული ავიაცია ფაქტობრივად გამოთიშულია ყველანაირ საერთაშორისო სავიაციო ორგანიზაციებში მონაწილეობას, პრაქტიკულად არ არის გათვალისწინებული საჰაერო ტრანსპორტის განვითარების თვალსაზრისით მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე პროცესები, ტენდენციები და პერსპექტივები. არ არის შესწავლილი საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო მგზავრ და ტვირთნაკადების შეპირაპირების და გატარების შესაძლებლობანი, რის გამოც დღემდე უგულებელყოფილია საქართველოს ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის სამსახურში გეოპოლიტიკური პოტენციალის ჩაყენების საკითხი.**

**სამართლებრივი ბაზის უქონლობასთან ერთად თავს იჩენს სავიაციო საქმის გაძღოლის ორგანიზაციული და სამეურნეო საფუძვლების მოუწესრიგებლობა. ორგანიზაციულ-ეკონომიკური სტრუქტურა არათუ არ უზრუნველყოფს და არ ასტიმულირებს მაღალეფექტურ საქმიანობას, იგი ფაქტიურად ნეგატიური მოვლენების პირველწყარო და მიზეზი ხდება.**

**ცენტრალიზებულმა და მონოპოლიზებულმა სტრუქტურამ მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანა ქართული ავიაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მოძველებული საავიაციო ტექნიკა, მათი რაოდენობა, აეროდრომებისა და აეროპორტების ტექნიკური და ესთეტიკური მდგომარეობა, მგზავრთა მომსახურების დონე არ პასუხობს საერთაშორისო ნორმით გათვალისწინებულ ელემენტარულ მოთხოვნებს. გაუმართლებელია დარგის სტრუქტურაში სატვირთო ავიაციის არსებობის მთლიანად უგულებელყოფის პრაქტიკა.**

**მოუწესრიგებელია უნიკალურ ავიასპეციალისტთა სოციალური პირობები. კადრების სწავლების და მომზადების ბაზის უქონლობის და არასწორი საკადრო პოლიტიკის შედეგად მძიმეა დარგში დემოგრაფიული სიტუაცია. ძირითად სპეციალობებს შორის (მფრინავი, ავიადისპეტჩერი, ავიაინჟინერი) ეროვნული კადრების ხვედრითი წილი არ სცილდება 20 პროცენტს.**

**საქართველოს რესპუბლიკის ამჟამინდელი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, მომავალი ფაქტობრივი სუვერენიტეტის პირობები და ყოველივე ზემოაღნიშნული ქმნის აბსოლუტურ აუცილებლობას ჩამოყალიბდეს სავიაციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების და სამეურნეო ფუნქციონირების სრულიად ახალ პრინციპებზე დამყარებული სისტემა. ამისათვის კი არ არის საკმარისი საქართველოს სამოქალაქო ავიაცია შევიდეს ან არ შევიდეს ყოფილი სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს მემკვიდრე რომელიმე თუნდაც პარალელურ სტრუქტურაში. ამოცანა ისაა, რომ ჩვენი ავიაცია არა მარტო გამოვიდეს ორგანიზაციული და ეკონომიკურ-ფინანსური იზოლაციისაგან, არამედ შევქმნათ საერთაშორისო ნორმების შესაბამისი, საკუთარ საკანონმდებლო საფუძვლებზე დამყარებული სტრუქტურა და მეურნეობა.**

**ამ თვალსაზრისით პროფესიონალ-სპეციალისტთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შემუშავებულია მთელი რიგი წინადადებები და სრულიად გადაუდებელ ამოცანად ისახება მათი განხილვა, დამუშავება და სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღება.**

### I. საქართველოს საჰაერო სივრცისა და საჰაერო ტრანსპორტის გამოყენების სახელმწიფო რეგულირება

**საჰაერო** სივრცის ეფექტიანად გამოყენებით საქართველოს შეუძლია გააფართოვოს თავისი სამეურნეო და პოლიტიკური აქტიურობის არეალი. გეოგრაფიული მდებარეობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის პირდაპირი სამეურნეო და კულტურული ურთიერთობების დასამყარებლად ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან. ეს ასევე საშუალებას იძლევა რესპუბლიკა გახდეს მნიშვნელოვანი კვანძი ამ კონტინენტებს შორის საერთაშორისო-სატრანსპორტო საგადაზიდვო პოტენციალის რეალიზაციისა და დაკავშირებისათვის, რაც თავის მხრივ კარგი საფუძველია უცხოური ინვესტიციების და სავალუტო შემოსავლების მნიშვნელოვანი ოდენობით მოსაზიდავად. მაგრამ საქართველო არ შეიძლება გახდეს სავიაციო სახელმწიფო და ამ კვანძის ცენტრი, თუ იგი დამოუკიდებლად არ განახორციელებს ამ საკითხების სახელმწიფო რეგულირებას.

დაუყოვნებლივ უნდა შემუშავდეს და მიღებულ იქნას საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო კოდექსი ან კანონი საჰაერო ტრანსპორტის შესახებ. მან უნდა გაითვალისწინოს საქართველოს საჰაერო სივრცის სუვერენიტეტი, საჰაერო სივრცის გამოყენების რეგულირება, ავიაციის ფუნქციონირების სახელმწიფო ინტერესებისათვის დაქვემდებარება, უსაფრთხო ფრენის უზრუნველყოფა და მრავალი სხვა.

ეს მით უფრო საშურია, რადგან ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო ამჟამად საქართველოს რესპუბლიკას ფაქტიურად არ გააჩნია შესაბამისი ორგანიზაციული ინსტიტუტები, საერთაშორისო ნორმები (დოკუმენტაცია, მასალები, კატალოგები და სხვა), არ ჰყავს სათანადოდ მომზადებული კადრები და არ აქვს სათანადო ცოდნა, როგორ უნდა ვაწარმოოთ სავიაციო სახელმწიფო რეგულირება და ავიაციის საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ფუნქციონირება. ხოლო ჩვენ მიერ განხორციელებული მოკრძალებული ნაბიჯები გავეცნობოდით სხვათა გამოცდილებას, საკმარისი არაა.

ამჟამად, ჩვენი აზრით, კანონის შემოღებასთან ერთად დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. შემუშავდეს, ორგანიზაცია გაუკეთდეს და კონტროლს დაექვემდებაროს:

— საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ვარგისიანობის ნორმები.

— საჰაერო ტრანსპორტის და აეროდრომების სერთიფიკაციის წესები.

— აეროდრომების, საჰაერო მარშრუტების, ტექნიკური ბაზის, ფრენის მართვის, ნავიგაციისა და კავშირგაბმულობის, მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის ვარგისიანობის ნორმები.

— სტანდარტები, ნორმები და მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხო ფრენის წესებს და ტექნოლოგიურ პროცესებს.

— სავიაციო ტექნიკის ექსპლოატაციის და რემონტის სტანდარტები და ნორმები.

2. ფრენის წესებზე, ფრენის უზრუნველყოფის წესებსა და სავიაციო ტექნიკის საფრენოსნო ვარგისიანობაზე ზედამხედველობა.

3. საჰაერო ტრანსპორტის, მისი ძრავების და სხვა შემადგენელი ნაწილების სერთიფიკაციის სისტემის შემუშავება.

4. საჰაერო ტრანსპორტის და აეროდრომების ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შემუშავება და უზრუნველყოფა.

5. საჰაერო ტრანსპორტის განვითარების სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავება.

6. სავიაციო ტრანსპორტის საფრენოსნო ვარგისიანობის ნორმირების, სერთიფიკაციის პროცედურების საკითხებში საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობა და სერთიფიკატორების სახელმწიფოთაშორისი ურთიერთაღიარება.

7. ავიასპეციალისტებზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მოთხოვნების შემუშავება.

ყველა ეს საკითხი ამჟამად საქართველოში მოუგვარებელია და არც სათანადო ინსტიტუტებია შექმნილი მის განსახორციელებლად. სრულიად ნათელია, რომ რესპუბლიკის სრული დამოუკიდებლობის პირობებში იგი შეიძენს აბსოლუტურ მნიშვნელობას. ამასთან, ყოველივე ეს უნდა მოხდეს საერთაშორისო სავიაციო ორგანიზაცია „იკაოს“ ნორმების შესაბამისად. მოსაძიებელი და შესაძენია თვით ეს ნორმებიც.

ასევე სახელმწიფო რეგულირების საგანი უნდა გახდეს მთელი რიგი სხვა ორგანიზაციული საკითხები:

1. საქართველოს საჰაერო სივრცეზე გამავალი ყველა საერთაშორისო მარშრუტის კონტროლი, მომსახურება და ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება.

როგორც ცნობილია, ამჟამად ხორციელდება ამ მარშრუტების მხოლოდ მომსახურება. მაგრამ არ არის უზრუნველყოფილი საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ეკონომიკური ურთიერთობები, იკარგება სავალუტო შემოსავლები. ამასთან ამ მარშრუტების გამოყენების ინტენსივობის ზრდა ან შემცირება არანაირად არ არის დამოკიდებული რესპუბლიკაზე.

2. საქართველომ დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს რესპუბლიკიდან მიმავალი ან რესპუბლიკაში მომავალი ყველანაირი (უცხოური, საკუთარი, სამხედრო, სამოქალაქო და სხვა) საჰაერო ტრანსპორტის მოძრაობის ნებართვის საკითხი.

ამჟამად ეს ხორციელდება მოსკოვის შესაბამისი სამსახურების მიერ და არანაირად არ არის დამოკიდებული რესპუბლიკაზე.

3. პირველი ორი საკითხი გარკვეულწილად კავშირშია ყოფილი სსრ კავშირის მემკვიდრე ეგრეთ წოდებულ „ერთიან საჰაერო სივრცეში“ მონაწილეობის საკითხთან. ამ ეტაპზე, სანამ საქართველოს რესპუბლიკა არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, გარკვეულწილად შეზღუდულია საერთაშორისო ფრენების განხორციელება. ამიტომ საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებები საერთაშორისო სავიაციო ორგანიზაცია „იკაოს“ ნორმების შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური საშუალებების შესაქმნელად და პირდაპირ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე გასასვლელად. ეს ღონისძიებები მომავალში საფუძველი გახდება საერთაშორისო ორგანიზაციებში რესპუბლიკის შესასვლელად.

ვფიქრობთ ყოველივე ზემოთქმულის განსახორციელებლად რესპუბლიკაში საჭიროა ავიაციის დეპარტამენტის სახით შეიქმნას ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს სავიაციო საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობას და უსაფრთხო ფრენას. იგი უნდა იქნეს დამოუკიდებელი იურიდიული პირი, მოქმედებდეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, ტრანსპორტის მინისტრის მოქმედების ფარგლებში და დაეკისროს შემდეგი ფუნქციები:

1. ორგანიზაცია გაუკეთოს სავიაციო საქმიანობის და უსაფრთხო ფრენის სტრატეგიის შემუშავებას და განხორციელებას.

2. გააანალიზოს კანონების მოქმედება, შეიმუშაოს და წარადგინოს დასამტკიცებლად ნორმატიული აქტები, აკონტროლოს ამ აქტების შესრულება.

3. მოამზადოს საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო შეთანხმებები და ხელშეკრულებები ავიაციის სფეროში, გამართოს შესაბამისი მოლაპარაკებები.

4. აწარმოოს სავიაციო ტრანსპორტის, აეროპორტების, აეროდრომების, სხვა სავიაციო მოწყობილობების რეგისტრაცია და ტექნიკური ზედამხედველობა.

5. გამოიკვლიოს სავიაციო ავარიები, ჩაატაროს სავიაციო ექსპერტიზები.

6. უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკაში საჰაერო მოძრაობის ორგანიზაცია.

7. დაამუშაოს ავიასპეციალისტების პროფესიული მომზადების მოთხოვნების ნორმები, დაამტკიცოს ატესტაციის წესი, გასცეს საკვალიფიკაციო მოწმობები.

8. დადგენილი წესით შეათანხმოს და გასცეს სავიაციო საქმიანობის ლიცენზიები.

აღნიშნულ და სხვა საქმიანობასთან ერთად ავიაციის დეპარტამენტს ექნება სათანადო უფლებები, მოვალეობანი და შესაბამისი სტრუქტურა.

ვფიქრობთ, ეს წინადადებები ასეთ ან სხვა სახით საჭიროებს სასწრაფო სამთავრობო გადაწყვეტილებებს.

### II. სავიაციო ტრანსპორტის ფუნქციონირების სამეურნეო მექანიზმი და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზები

სავიაციო საქმის სახელმწიფო რეგულირების უზრუნველყოფის პარალელურად პრინციპულად ახალ მიდგომას საჭიროებს სამეურნეო მართვის ორგანიზაცია. სავიაციო საქმიანობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელი ღრმა პროცესები შეეხება სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების სტრუქტურებს და, ჩვენი აზრით, იგი უნდა წარიმართოს რამდენიმე მიმართულებით.

1. ეკონომიკის განსახელმწიფოებრიობა, პრივატიზაცია, რომელმაც უნდა განამტკიცოს კომერციული საქმისწარმოება და თვითდაფინანსება.

2. სავიაციო საბაზრო საქმისწარმოების ფორმირება, სამეურნეო კავშირურთიერთობების ჩამოყალიბება, თავისუფალი მეწარმეობის განვითარება.

3. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური პერიოდის სტრუქტურების დემონოპოლიზაცია ძირითადად სტრუქტურულ ერთეულებზე მაქსიმალური უფლებების გადაცემით, ავიაკომპანიების და აეროპორტების განცალკევებით და სხვა.

4. ფასებსა და ტარიფებზე სახელმწიფო კონტროლის მოხსნა და მოთხოვნის შესაბამისი თავისუფალი ფასწარმოქმნის ჩამოყალიბება. კონკურენციის სტიმულირება.

5. ავიასპეციალისტების მძლავრი სოციალური უზრუნველყოფის და გარანტიების შექმნა.

აღნიშნული და დროის შესაბამისი სხვა მოსალოდნელი მიმართულებები მოითხოვს დიდ ორგანიზატორულ მუშაობას მმართველობის ყველა დონეზე და ყველა სამეურნეო სტრუქტურაში. იგი არ შეიძლება იყოს ხანმოკლე და ერთდროული.

საქართველოს რესპუბლიკის საკუთრების, პრივატიზაციის და სხვა კანონების მიღებასთან დაკავშირებით საჭიროა სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს გამგებლობაში ამჟამად არსებული ძირითადი ფონდების და წარმოების სხვა საშუალებების პირველ ეტაპზე სახელმწიფო საკუთრებაში გადმოცემის ორგანიზაციულ-ფინანსური უზრუნველყოფა. საჭიროა მოხდეს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და შეკვეთების სისტემის რეორგანიზაცია.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სტრუქტურებში უკვე ხორციელდება რიგი ცვლილებები. ყალიბდება სახელმწიფო ავიაკომპანია, რომლის შემადგენლობაში პირველ ეტაპზე შევლენ პროფესიული ნიშნით გაერთიანებული დამოუკიდებელი იურიდიული პირის უფლებების მქონე საწარმოები (მფრინავთა გაერთიანება, თვითმფრინავ-ვერტმფრენთა საწარმო, აეროპორტები და სხვა). შემდგომ ეტაპზე მოსალოდნელია აეროპორტების ავიაკომპანიიდან გამოსვლა, ახალი, მათ შორის კერძო, ავიაკომპანიების შექმნა და სხვა, რომელთა ფუნქციონირება განხორციელდება თვითუზრუნველყოფით, იჯარის ან აქციონირების საფუძველზე.

უზრუნველმყოფი ან დამხმარე საწარმოები ერთიანდებიან ასევე პროფესიული ნიშნით და პირველ ეტაპზე შედიან ავიაკომპანიის შემადგენლობაში. შემდგომში მოსალოდნელია მათი დამოუკიდებელი ან ასოცირებული ფორმების შექმნა.

ვფიქრობთ, ასევე ავიაკომპანიის შემადგენლობაში, მაგრამ დამოუკიდებელ ერთეულად უნდა ჩამოყალიბდეს სავიაციო ტექნიკური ბაზა, რომელიც ავიაკომპანიისაგან იჯარით აიღებს ამჟამად ავიაციის სამმართველოს გამგებლობაში არსებულ თვითმფრინავებსა და ვერტმფრენებს, სარემონტო ბაზას, მოახდენს შეკეთების და მომსახურების სპეციალიზაციას და უზრუნველყოფს მომსახურებას.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მნიშვნელოვნად შეცვლის სამეურნეო მმართველობის აპარატის სტრატეგიას და ტაქტიკას. ასევე შეიცვლება მისი სტრუქტურა და მთავარი ამოცანა იქნება სამეურნეო ხელშეკრულებების უზრუნველყოფა, კონკურენციის დაძლევა, ინვესტიციების კოორდინირება, ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესის შენარჩუნება.

იცვლება თვით საწარმოების ორიენტირებაც. მათ უნდა ჰქონდეთ მხოლოდ ეკონომიკური მიზნები — საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა, მაქსიმალური მოგების მიღება, ახალი ბაზრების პოვნა.

ავიაკომპანიას, ცხადია, არ ექნება არავითარი სახელმწიფო დაკვეთა ან გეგმა და იგი მთლიანად გადავა ავიახაზების ექსპლოატაციის ლიცენზირების მიღების მექანიზმზე. გაუქმდება კონტროლი ავიაკომპანიის ფრენების სიხშირესა და გეოგრაფიაზე.

ახალი სტრუქტურების შექმნისას წამგებიანი ერთეულების შენარჩუნების მიზნით შემოღებულ უნდა იქნას სასტარტო პირობების გარკვეული გათანაბრება, რომლებიც გათვლილი იქნება ფაქტობრივ თვითღირებულებასა და ნორმატიულ რენტაბელობაზე.

ავიაკომპანიის შექმნასთან ერთად უკვე დღეიდანვე შეიძლება განხორციელდეს ღონისძიებები მისი სახელმწიფო-კოლექტიურ სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შესახებ, რითაც დასაწყისი უნდა მიეცეს ნაწილობრივ განსახელმწიფოებრიობას. კოლექტივის წევრი უნდა გახდეს ქონების თანამონაწილე და შეიქმნას მძლავრი მატერიალური სტიმულები მათ მიერ სახელმწიფო-კოლექტიური ქონების მაღალრენტაბელურად გამოყენებისათვის.

ამასთან, სახელმწიფოს მიერ დადგენილ იქნება იმ ობიექტთა ნუსხა, რომლებიც ექვემდებარება მთლიან ან ნაწილობრივ განსახელმწიფოებრიობას. მაგალითად, ფრენის მართვის სისტემები გამოვა რა ამჟამინდელი ავიაციის სამმართველოს და მომავალი ავიაკომპანიის შემადგენლობიდან, უნდა გადავიდეს სახელმწიფო მმართველობის (ავიადეპარტამენტის) შემადგენლობაში.

ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე, როცა არ არის ალტერნატიული სტრუქტურები, გარკვეულ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს ასევე ფასებისა და ტარიფების ლიბერალიზაცია მათი სოციალურად მიუღებელი დიდი ზრდის შესაჩერებლად.

ასევე საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ყოველ შემთხვევაში პირველ ეტაპზე, მოსალოდნელი არ არის ყოფილი სსრ კავშირის მარშრუტების მკვეთრი შემცირება. აქ კი შემოღებულია შემოსავლებიდან ურთიერთანგარიშსწორების ნორმატიული სისტემა. ფასების ლიბერალიზაციის პირობებში ეს სისტემა ვერ იმუშავებს და საჭირო გახდება ფაქტობრივი შემოსავლებიდან ურთიერთანგარიშსწორებაზე გადასვლა, რაც მოითხოვს გარკვეულ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებებს.

მეურნეობრიობის ფასებისა და ტარიფების სფეროში რესპუბლიკურ დონეზე მოსაგვარებელი გახდება ასევე ისეთი საკითხები, როგორიცაა ფასები საქართველოს საჰაერო ზონაში გამავალ თვითმფრინავების მომსახურებაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, აეროპორტებში მომსახურებაზე. ვფიქრობთ, რესპუბლიკის გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით საჭიროა საქართველოს აეროდრომებსა და აეროპორტებში მომსახურების ისეთი ფასების დაწესება, რომლის გარკვეული შეღავათიანობა ნაკადის მოზიდვის საშუალება გახდება, და პრაქტიკულად გადაიდგმება ნაბიჯი ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამოყენების უშუალოდ განსახორციელებლად. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხში გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭება რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში საექსპედიციო სამსახურის ჩამოყალიბებას.

სავიაციო გადაზიდვების სამეურნეო საქმიანობის ახლებურად წარმოებაში უდიდესი როლი მიენიჭება ავიაკომპანიების ხელმძღვანელსა და მისი აპარატის საქმიანობას. მნიშვნელოვნად იზრდება სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა. ცენტრალიზებულ დაგეგმვაზე უარის თქმა ზრდის შიდასამეურნეო დაგეგმვის როლს. საქმიანობაზე დიდ გავლენას მოახდენს შიდასამეურნეო ტექნოლოგიური პროცესების დონე. უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება ეკონომიკური, იურიდიული და მარკეტინგული სამსახურების მუშაობის ეფექტიანობა.

კოლექტივების დამოკიდებულება ადმინისტრაციასთან უნდა აეწყოს მათი ინტერესების გათვალისწინებით, რაშიც დიდ როლს შეასრულებს კოლექტიური ხელშეკრულება. საჭიროა მნიშვნელოვნად შეიცვალოს პროფკავშირების როლი სოციალური გარანტიების დაცვაში.

შესამუშავებელია სოციალური გარანტიების სპეციალური პროგრამა, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს:

მინიმალური ხელფასის ოდენობა და მისი ზრდის მექანიზმი, დამატებითი საპენსიო უზრუნველყოფა, ანაზღაურება დამსახურებისათვის, პრივილეგიები მგზავრებისათვის, ანაზღაურება ავადმყოფობის დროს, პრივილეგიები შრომის პირობების გათვალისწინებით, საკუთრების უფლების მიღება და სხვა.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი ფრენის გეოგრაფიისა და ახალი მარშრუტების შესარჩევად. პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით უნდა დადგინდეს პერსპექტიული მგზავრ და ტვირთნაკადები. საჭიროა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ერთობლივი საწარმოების, სააქციო საზოგადოებების და სხვა არასახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბების აქტივიზაცია.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახალი სავიაციო ტექნიკის შევსება, სამუშაოთა ავტომატიზაცია, კომპიუტერიზაცია, ტექნიკური და კომერციული მომსახურების მიწისზედა ნაგებობების განახლება და შევსება. საჭიროა ეფექტიანად გამოვიყენოთ კონვერსიის პროცესი, რესპუბლიკის თვითმფრინავმშენებელი ქარხნები გამოვიყენოთ სამოქალაქო თვითმფრინავების და ძრავების წარმოებისა და რემონტისათვის. მიზანშეწონილია რესპუბლიკაში არსებული სამხედრო აეროდრომების სამოქალაქო დანიშნულებით გამოყენების (ან მთლიანად გადმოცემის) პრაქტიკის გაფართოება, რაც თავის მხრივ შეამცირებს ახალი აეროდრომების მშენებლობისათვის საჭირო ხარჯებს.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოაღნიშნული გახდება საჰაერო სივრცის და საჰაერო ტრანსპორტის ეფექტიანად გამოყენების, საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი.

**ჯემალ კახიანი,**
**საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე.**

---

## განვიხილავთ კანონპროექტს

# ორი რეკომენდაციის გამო

**გაზეთ** „საქართველოს რესპუბლიკის“ 18-19 ოქტომბრის ნომრებში დაიბეჭდა ორი სტატია: „შენიშვნები მიწის რეფორმის პროექტზე“ (ავტორი — პროფესორი მ. კეკელია) და „აჰ, ტრაქტორო, მე შენს გამჭედს!!!“ — (ავტორი გ. ზარნაძე). ორივე პუბლიკაციაში გულისყურითაა გამუქებული რესპუბლიკაში მიწის რეფორმის თაობაზე მისაღები კანონპროექტის ავკარგიანობა. ავტორები სასარგებლო რეკომენდაციებთან ერთად გამოთქვამენ საგულისხმო შენიშვნებსაც. ჩვენი ყურადღება მიიქცია ორმა, ურთიერთგამომრიცხავმა რეკომენდაციამ.

ბატონი მ. კეკელია კანონპროექტის მეშვიდე პუნქტისათვის იძლევა საკუთარ რეკომენდაციასაც: „მიწების ხელახალი განაწილებისას ეს მუხლი სრულიად არ უწევს ანგარიშს ადრინდელ (ყოფილ) მესაკუთრეებს, რომელთაც სურთ დაეუფლონ მამა-პაპისეულ მიწას (როცა ამით არავისი ინტერესი არ ირღვევა). ასეთი უგულებელყოფა და საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა გაუმართლებელია... ყველაზე სამართლიანი იქნებოდა მიწა დაბრუნებოდა პატრონს, ვისაც ჩამოერთვა დანაშაულებრივი გზით, თუკი მას ამ მიწის დამუშავების უნარი შესწევს“. ამ რეკომენდაციის საწინააღმდეგო აზრს ავითარებს ბატონი გიზო ზარნაძე. „სოფლის მოსახლეობის უმრავლესობამ უკულმართად გაიგო მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა, რომელი მიწებიც ჩემს წინაპრებს კოლექტივიზაციამდე ეკუთვნოდა, ყველა მე უნდა დამიბრუნდესო! რაღა თქმა უნდა, სასაცილოა ასეთი მოთხოვნა. დროა ხმამაღლა და ყველას გასაგონად ითქვას... რომ საერთოდ ლაპარაკიც ზედმეტია ე. წ. ბაბუაჩემისეული და პაპისპაპისეული მიწების დაბრუნებაზე!!!“.

კონკრეტული რეკომენდაციის შემოთავაზება მიწის ურთულეს პრობლემაზე, მასთან დაკავშირებულ ძირეულ რეფორმაზე აუცილებლად უნდა ემყარებოდეს თანამედროვე გლეხის ფსიქოლოგიის ზედმიწევნით ცოდნას. ყველამ კარგად ვიცით, რომ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ბევრ რეგიონში „პარნიკომანიის“ ბუმია. 60-70-იანი წლებიდან ქართული კერძო გლეხური მეურნეობა შემოიფარგლა კვალსათბურებისა და სათბურების მონოკულტურების წარმოებით. თანამედროვე გლეხს მიწის დიდი ფართობი აღარ იზიდავს, იგი კმაყოფილია 200-600 კვადრატულ მეტრზე გაშენებული სათბურებით. აქ მოყვანილი პროდუქციის მაღალი საბაზრო ღირებულება თითქმის მაქსიმალურად აკმაყოფილებს მას. მართალია, გარჯა დიდია, მაგრამ ამ გარჯის შედეგი რეალურია. დროის ამ ეტაპის ჩვენი გლეხობიდან მიწის ფართობის განკერძოებისადმი ინტერესი უფრო აქვს იმას, ვის მამა-პაპასაც წარსულში ჰქონდა დიდი მამულები და ვინც კოლექტივიზაციის მსხვერპლი გახდა, ვიდრე იმას, ვისაც საკუთარი მიწა არ გააჩნდა. ახლანდელი გლეხების ფსიქიკაში სასიკეთო ძვრები მაშინ დაიწყება, როცა მიწის პრივატიზაცია რეალური სამართლიანობის აღდგენას დაემყარება და არა ძალდატანებას ან შიშველ ადმინისტრირებას. დღევანდელი სოფლის ის მკვიდრნი, ვისი პაპებიც და მამებიც ბოლშევიზაციის საშინელებამ დასაჯა, უკიდურესად შემცირებულია. ისტორიამ იცის, რომ მიწაწართმეულთა უმრავლესობამ სოფელიც დატოვა და თავისი სამშობლოც. დიდმა ნაწილმა ქალაქს შეაფარა თავი. 30-იანი წლებიდან სოფელი გლეხისათვის დედინაცვლად იქცა, ხოლო კოლექტივიზაციის გაძლიერებულმა დიქტატმა ათასი მბრძანებელი გაუჩინა გლეხს თავმჯდომარეების, ბრიგადირების, ბუღალტრების, პარტორგების, კომორგებისა და სხვათა სახით. ასე შეეხუთა სული გლეხს და მოიშთო ეკონომიკურად.

„გლეხური ფსიქოლოგიის“ რეაბილიტაცია სწორედ პროფესორ მიხეილ კეკელიას რეკომენდაციით უნდა დავიწყოთ, რომ მართლაც „სამართლიანი იქნებოდა მიწა დაუბრუნდეს მეპატრონეს“. უდავოდ ზნეობრივი იქნებოდა მსგავსად პოლიტიკურად რეაბილიტაციური ოჯახებისა, რეაბილიტაცია მოგვეხდინა მიწაწართმეული ოჯახების შთამომავლებისათვის (თუ კი ასეთი არის ვინმე) ყოფილი კუთვნილი მიწები დაგვებრუნებინა, ცხადია, განსაზღვრული ფართობების რაოდენობით, მათი სურვილისა და შრომისუნარიანობის მიხედვით. ეს მომენტი იქნებოდა არა მარტო სამართლიანობის აღდგენის, არამედ რწმენადაკარგული გლეხის ჩვენსკენ მობრუნების დასაწყისი. ამ გზით გამოვიყვანთ გლეხს ვიწრო სასათბურე ჩიხიდან და მას ქართული მიწის საიმედო პატრონად ვაქცევთ.

უდავოა, რომ მიწის პრივატიზაციის პროცესი ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს. ერთი კი ამთავითვე უნდა ითქვას: ყველა სოფელს თავისი სპეციფიკა აქვს — გენეალოგია, გენოფონდი, გეოგრაფიულობა, ეკონომიკა, ეკოლოგია, მიწის ფართობის რაოდენობა, კომლთა რიცხვი (სიდიდე), სავარგულის ნაირგვარობა (სახნავი, საძოვრები, ჭაობი, ქვაღორღი...), რელიეფურობა, ნიადაგების შედგენილობა, ჰიდრომელიორაციული სისტემა, სოფლის დღევანდელი და პერსპექტიული მოთხოვნილებანი და სხვ. ყველა ეს კომპონენტი სოფლის მოსახლეობამ უკეთ იცის, ამიტომ მათთან ერთად განუსჯელად პრივატიზაციის პროცესი რიგიანად ვერ წარიმართება. პრეფექტურებმა, ადგილობრივმა საკრებულოებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტ-თავკაცებმა რეგიონის ცალკეული სოფლების მიხედვით ერთობლივად უნდა შეიმუშაონ ყველა არგუმენტი, მოსახლეობის საწუხარი და მოთხოვნილებანი და მერე შეუდგნენ პრივატიზაციის პრაქტიკულ რეალიზებას. უამისოდ უმართებულო და საზიანოც კი იქნება ჩვენ მიერ მიღებული კანონმდებლობა.

ბოლოს რამდენიმე საკითხი: რეგიონები, სადაც გვაქვს საკვლევ-საექსპერიმენტო ობიექტები, შევინარჩუნოთ არა ძველებურად, არამედ შეზღუდულად, მაგრამ რეალურად. ზოგიერთი კვლევითი ინსტიტუტი დიდად ვერ მოიწონებს თავს საცდელ ობიექტებში მოპოვებული მეცნიერული წარმატებებით, ისინი დიდძალ მიწებს აცდენენ, ხოლო პრაქტიკულ ხელშესახებ შედეგებს ვერ აღწევენ.

ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზთა გამო ყველა დეტალს კანონმდებლობაში ვერ გავითვალისწინებთ, ამიტომ საჭირო იქნება მას ახლდეს სათანადო დანართი სოფლის ხელისუფალთა სახელმძღვანელოდ კანონის ადგილობრივ პირობებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

**შოთა ამირანაშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.**

---

# მხოლოდ პროექტის მიხედვით

**სოფლის სტატუსის კანონის პროექტის 21-ე მუხლი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „სოფლის ტერიტორიაზე ყველა სახის მშენებლობა (გარდა საცხოვრებელი სახლისა) ხორციელდება რაიონული დაქვემდებარების სამსახურთან შეთანხმებით“.**

აქ სრულიად უყურადღებოდაა დატოვებული მიწისძვრების გავლენის შედეგები დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, სამაჩაბლოს ტერიტორიაზე, ზვავებისა და წყალდიდობების დამანგრეველი ზემოქმედება აჭარასა თუ სამეგრელოს რეგიონებში. როგორც ცნობილია, ეს რეგიონები რესპუბლიკის მთავრობის განსაკუთრებული ყურადღების საგანია, სხვაგან შეჩერებულია სამშენებლო სამუშაოები და მთელი რესურსები სწორედ აქ მიყენებული ზარალის აღდგენას ემსახურება.

არავისთვის დასამალი არ არის, რომ ნგრევის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისაა, რომ დღემდე კერძო მშენებლობები, მიტოვებულია სრულიად უყურადღებოდ. მართალია, სოფლებში თითქოს მოითხოვენ, რომ მშენებლობის მეპატრონემ წარადგინოს პროექტი (ნახაზები), მაგრამ ამის შემდეგ პროექტის განხორციელების პროცესი კონტროლისა და მეთვალყურეობის გარეშე რჩება. მეპატრონე ყველა ღონისძიებას იყენებს იმისათვის, რომ გაამარტივოს პროექტის განხორციელება, შეცვალოს ცალკეული კონსტრუქციები.

უხარისხო მასალის გამოყენება, სამუშაოთა წარმოების ელემენტარული მოთხოვნების შეუსრულებლობა, ამინდისა და ატმოსფერული მოვლენების გაუთვალისწინებლობა, სამუშაოს შესრულების ტექნოლოგიის უცოდინარობა — აი ძირითადი მიზეზები, რაზეც დამანგრევლად ზემოქმედებს მიწისძვრები, ზვავწარმონაქმნები, წყალდიდობები და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის პროექტის ამ მუხლში, აუცილებელია შევიტანოთ შემდეგი შესწორებები: 1. ამოღებული იქნეს ფრჩხილებით შემოსაზღვრული წინადადება, „გარდა საცხოვრებელი სახლისა“ და 2. დაემატოს მოთხოვნა: პრეფექტის მმართველობაში გათვალისწინებული იქნეს საცხოვრებელი სახლების, თუ სხვა დამხმარე ნაგებობების პროექტის მიხედვით განხორციელების სატექზედამხედველო მოვალეობის შესრულებათა შტატი (სამშენებლო სამუშაოთა წარმოების სპეციალობით).

**ვანო შენგელია,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი,**
**დავით ქაჯაია,**
**პროფესორი.**

---

# უმთავრესი მიზანი — მეწარმეობის განვითარება

**სუვერენული** სახელმწიფოს ჩამოყალიბება საკუთარი ეკონომიკური საკანონმდებლო ბაზის შექმნას გულისხმობს და ამ მიმართულებით რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სერიოზული ნაბიჯები უკვე გადადგა. მიღებულია რამდენიმე კანონი, რომლებიც არეგულირებენ და განსაზღვრავენ რესპუბლიკის საფინანსო-ეკონომიკურ ცხოვრებას. ამ მიმართულებით რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივმოქმედ კომისიებში მუშაობა ახლაც გრძელდება.

რესპუბლიკის პარლამენტმა მიმდინარე წლის ივლისში მიიღო კანონი „საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა რესპუბლიკაში საგადასახადო სისტემის რეფორმის ძირითადი მიმართულებანი, გადასახადის სახეობები და სხვა.

აღნიშნული კანონი გულისხმობდა ცალკეული გადასახადების შესახებ შესაბამისი კანონების მიღებას, რაც ძალზე აქტუალურ, შრომატევად და საპასუხისმგებლო მუშაობას მოითხოვდა. უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის კაბინეტში თვეების განმავლობაში მუშაობდნენ და შემუშავდა კანონ-პროექტები: „მოგებიდან გადასახადის შესახებ“, „დამატებითი ღირებულების გადასახადის შესახებ“, „სააქციზო გადასახადის შესახებ“, „სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადის შესახებ“, „სატრანზიტო გადასახადის შესახებ“, „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ და „შემოსავალზე გადასახადის შესახებ“ და სხვა. რამდენიმე თვეა მიმდინარეობს აღნიშნული კანონპროექტების განხილვა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში, გაიმართა კომისიის რამდენიმე გაფართოებული სხდომა უზენაესი საბჭოს ეკონომიკური და სხვა კომისიების, მეცნიერი პრაქტიკოსების, სხვადასხვა სამინისტროთა წარმომადგენლების მონაწილეობით. სხდომებზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების შესაბამისად, კანონპროექტები უკვე მზად არის უზენაესი საბჭოს სესიაზე გასატანად.

აღნიშნული კანონპროექტების შესახებ კომენტარი ვთხოვეთ უზენაესი საბჭოს დეპუტატს, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მდივანს ბატონ **გია მამფორიას**.

**— ბატონო გია, გვაინტერესებს, მოქმედებდა თუ არა ადრე ანალოგიური კანონები, თუ მოქმედებდა, რა სიახლეა მათში და, საერთოდ, რა სიკეთეს ჰპირდება თქვენი კომისიის მიერ შემუშავებული კანონპროექტები სამომავლოდ ჩვენი ეკონომიკის განვითარებასა და წინსვლას?**

— ჩვენთან ადრე მოქმედებდა საკავშირო კანონი გადასახადების შესახებ, მაგრამ დამეთანხმებით, რომ შეუძლებელია არსებობდეს დამოუკიდებელი ეკონომიკა, რომელიც იმოქმედებს მეზობელი ქვეყნის საგადასახადო კანონების მეშვეობით საკუთარი ინტერესების გაუთვალისწინებლად, ამიტომაც, აუცილებელია სუვერენული ეკონომიკისთვის საჭირო ყველა ბერკეტის ჩამოყალიბება, საგადასახადო სისტემის, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენის, შექმნა და განვითარება. ჩვენი კომისიის მიერ შემუშავებული კანონპროექტების უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს ეკონომიკური ცხოვრების ლიბერალიზაციას და კერძო მეწარმეობის განვითარებას.

კანონპროექტებში მთელი რიგი სიახლეებია ჩადებული ამ თვალსაზრისით. შევეხები მხოლოდ ზოგიერთ მათგანს:

კანონპროექტში „მოგებიდან გადასახადის შესახებ“ მნიშვნელოვნადაა შემცირებული გადასახადის განაკვეთები, რამაც უნდა გამოიწვიოს მეწარმეთა შემოსავლის გაზრდა და მათი შემდგომი კაპიტალიზაციით დაინტერესება, ეს შესაძლებლობას მოგვცემს გაიზარდოს დასაბეგრ ობიექტთა რაოდენობა და მოგების საერთო მასა, რაც საბოლოოდ აამაღლებს სახელმწიფო შემოსავალს და მისცემს მას აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარების საშუალებას. ჩვენს მიერ შემუშავებული „საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ კანონპროექტის მიხედვით, მნიშვნელოვნად მცირდება მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადი, რაც გარკვეულწილად შეღავათს მისცემს მოსახლეობას ჩვენს მწვავე ეკონომიკურ პირობებში.

**— როგორ ფიქრობთ, როდის განიხილავს თქვენი კომისიის მიერ შემუშავებულ კანონპროექტებს უზენაესი საბჭოს სესია?**

— დრო არ ითმენს. შესადგენია მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლის შედგენაც აღნიშნული კანონების მიუღებლად წარმოუდგენელია. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ამ კანონპროექტების განხილვა უზენაესი საბჭოს სესიის უახლოეს სხდომებზე უნდა დაიწყოს.

**ესაუბრა ეკა ლეჟავა.**

## შიდა ქართლი

# კონფლიქტი... როდემდე?

**უკანასკნელი** დღეების პოლიტიკურმა მოვლენებმა ნათელყო, რომ შიდა ქართლში ოს სეპარატისტებთან ალიანსში მყოფი იმპერიის დისლოცირებული შეიარაღებული სამხედრო ნაწილები აქამდე თუ ფარულ მოქმედებას ეწეოდნენ, ახლა ნიღაბმოხსნილნი აშკარად იბრძვიან ძირძველი ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ.

შეიარაღებული ძალების მხარდაჭერით იყო განპირობებული, რომ ოსი ექსტრემისტები დიდი ძალებით შეიჭრნენ მამისაანთ უბანში, რომელიც ქალაქ ცხინვალს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება. საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ მშობლიურ მიწა-წყალს მამისაანთუბნელები, მაგრამ... სოფლის თავში შეჭრილმა ექსტრემისტებმა გაძარცვეს და გადაწვეს რამდენიმე სახლი, წაასხეს მძევლები, მხარში დაჭრეს ნიკო ზუბაშვილი, რომელიც გორის საავადმყოფოში მოათავსეს და სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს.

აღსანიშნავია, რომ თვე-ნახევრის წინ ოსმა „ბოევიკებმა" ბარბაროსული წამებით მოკლეს მილიციის კურსანტი სპარტაკ მიდოდაშვილი, რომლის საცხოვრებელი სახლი სამხედრო-საკონტროლო პუნქტიდან ას მეტრზე დგას. ოსი „ბოევიკები" თავს დაესხნენ სპარტაკ მიდოდაშვილის ბინას, სახლ-კარი გადაუწვეს, მისმა მშობლებმაც ძლივს გამოასწრეს. ესეც არ იკმარეს: იქვე მეზობლად მდგარ ანზორ მიდოდაშვილის სახლ-კარიც გადაწვეს, გაიტაცეს მისი კუთვნილი ავტობუსი. აღმაშფოთებელი ის არის, რომ სამხედრო ნაწილის ჯარისკაცები გულდამშვიდებულნი უცქეროდნენ ექსტრემისტების ვანდალურ მოქმედებას.

ყოფილი ყორნისის რაიონში ოსი ექსტრემისტებისთვის „ტრადიციად" იქცა ქართველთა სახლებისა და ქართველების დაწვა. მათ ფრონის ხეობის ათ ქართულ სოფელში სამასზე მეტი ქართველი კაცის საცხოვრებელი სახლი გადაწვეს. ამ „ტრადიციას" არც ამ დღეებში უღალატეს. ყოფილ რაიონულ ცენტრში თავს დაესხნენ ლუბა ტრანკაძის ოჯახს და საუკუნეს მიღწეული მანდილოსანი საკუთარ სახლში გამოწვეს.

მშობლიურ სოფელ ოქონიდან (ყოფილი ყორნისის რაიონი) ლტოლვილმა ანზორ ნეფარიძემ თავის მახლობელ თენგიზ ციქუბაძესთან ერთად ტანსაცმლისა და სასურსათო პროდუქტების წასაღებად საკუთარ სახლს მიაშურა, მაგრამ... ანზორს შინ ოსი დახვდა ჩასახლებული. ოჯახის ახალმა „კანონიერმა" პატრონმა იგი ეზოშიც არ შეუშვა და საკუთარი ოჯახის „სტუმარს" ავტომატის ცეცხლი გაუხსნა. ანზორი მძიმედ დაიჭრა, ხოლო თენგიზ ციქუბაძე ადგილზევე გარდაიცვალა.

თითქმის თვეზე მეტი დროა, რაც ოს ექსტრემისტებთან ალიანსში მყოფმა იმპერიის სამხედრო ნაწილებმა დიდი ლიახვის ქართულ სოფლებს გადაუკეტეს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში ცხინვალზე გამავალი გზა.

მიზეზი?

ცხინვალში დისლოცირებული იმპერიის შეიარაღებული სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობისაგან მიზეზს როდი შეიტყობ, მაგრამ ნათელია, რომ ისინი ყველაფერს ღონობენ იმისთვის, რომ ქართველ მოსახლეობას მშობლიური ადგილები დაატოვებინონ.

— დიდი ლიახვის ხეობის ქართული მოსახლეობა როგორ შეხვდა მორიგ ბლოკადას? — ვკითხე კეხვის, ქურთისა და სხვა სოფლების საკრებულოს გამგებელს ი. ტურაშვილს.

— გულახდილად მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ხეობის ქართული სოფლები ასეთ გაჭირვებას კარგა ხანია შეჩვეულნი ვართ. ერთი ლიახვისხეობელი არ მიატოვებს მამა-პაპათა საფლავებს. თითოეულ ქართულ გოჯ მიწას ჩვენი სიცოცხლის ფასად დავიცავთ, მაგრამ ხელშეწყობაც გვინდა. გვჭირდება სამრეწველო საქონელი და სურსათი, საწვავი და სხვა საშუალებები, რითაც თავს დავიცავთ ოსი ექსტრემისტების შეიარაღებული თავდასხმებისგან.

— ხომ არ გამონახეთ გზები რაიონულ ცენტრთან — ქალაქ გორთან დასაკავშირებლად?

— რამდენიმე დღის წინ ბლოკადით შეწუხებული მთელი ხეობა ფეხზე დადგა და პატარა ლიახვის ხეობის სოფელ ერედვის მიმართულებით დავიწყეთ საცალფეხო გზის გაფართოება. ხალხის მონდომებამ ნაყოფი გამოიღო. ამ დღეებში ერედვიდან დიდი ლიახვის ხეობაში სასურსათო პროდუქტების პირველი ნაკადი შევიტანეთ. ისახება ღონისძიებები ამ გზით ავტომობილების მიმოსვლისთვის.

ოსმა ექსტრემისტებმა „მზრუნველი ხელი" არც პატარა ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებს მოაკლეს. მათ ლიახვის წელზე ოსური სოფლების — დმენისისა და კოხათის შესაყართან პიკეტი მოაწყვეს, რომელიც ბლოკადაში აქცევდა ხეობის ქართულ სოფლებს. ერედველი და ვანათელი მოსახლეობის ცდამ ნაყოფი გამოიღო: ოსთა პიკეტი მოხსნილია და პატარა ლიახვის ქართული სოფლების კავშირი გორთან აღდგენილია.

ოსი ექსტრემისტები და შეიარაღებული სამხედრო ნაწილები არ ცხრებიან. ორი დღის წინ ცხინვალიდან რაკეტები დაუშინეს ერგნეთს, ნიქოზს, კეხვს, ქემერტს, თამარაშენს. დაინგრა სახლები, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის.

საკითხავია, ქართულ სოფლებს ვინ ესვრის რაკეტებს?

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო ძალები და ოსი ექსტრემისტები ერთობლივად მოქმედებენ. თორემ „წესრიგის დამცავი" იმპერიის შეიარაღებული ძალები რატომ არ აღკვეთენ ოსი ექსტრემისტების მძიმე სამხედრო ტექნიკის მოქმედებას, როდესაც ქართველების მიერ გასროლილი სანადირო თოფიც არ რჩებათ მხედველობიდან? განა საკითხავია, ვინ მისცა ოს „ბოევიკებს" სარაკეტო დანადგარები, ჯავშანტრანსპორტიორები და ქარხანაში დამზადებული რაკეტები?

მართალია, არსებული კონფლიქტი მწვავე ხასიათისაა, მაგრამ არსებობს თუ არა მისი მოგვარების რეალური გზები?

ოს სეპარატისტთა ხელმძღვანელები კონფლიქტის მოგვარების ერთადერთ გზას ხედავენ. მათი აზრით, ქართველებთან ნორმალური ურთიერთობა მხოლოდ მაშინ აღდგება, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება ოფიციალურად ცნობს რუსეთის ფედერაციაში შესულ სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანებულ რესპუბლიკას.

ცხადია, ოს სეპარატისტთა ხელმძღვანელებმა კარგად იციან, რომ მათი მოთხოვნა ანტიკონსტიტუციურია, რომ იგი საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას ნიშნავს, მაგრამ მათთვის სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

სინამდვილეში როდის შეიძლება მოგვარდეს ორი ხალხის წარმომადგენელთა შორის არსებული კონფლიქტი?

შიდა ქართლში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზი გვიჩვენებს, რომ, სანამ ყოფილი სსრ კავშირის სუპერრესპუბლიკები — რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, ყაზახეთი და მსოფლიოს მთელი რიგი წამყვანი სახელმწიფოები საქართველოს არ ცნობენ დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ, სანამ საქართველოს რესპუბლიკიდან გაყვანილი არ იქნება ყოფილი იმპერიის დისლოცირებული სამხედრო ძალები, მანამ კონფლიქტი ვერ მოგვარდება.

ამ დღეებში უკრაინის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ცნო საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უკრაინას მოკლე ხანში ბევრი სხვა სახელმწიფოც შეუერთდება და საქართველოდან გავა იმპერიის შეიარაღებული სამხედრო ნაწილები.

ოსი სეპარატისტები კი კვლავ აქტიურად განაგრძობენ ანტიქართულ მოქმედებას შიდა ქართლში. საინტერესოა, როდემდე აპირებენ კონფლიქტის გაგრძელებას და ვისი იმედი აქვთ?

**ბიჭი ბორცვაძე,**
**„საქართველოს რესპუბლიკის" საკუთარი კორესპონდენტი.**

# დაპირისპირება გამწვავდა

**12 დეკემბერს.** შუადღისას, სოფელ მამისაანთუბანში ორი ჯავშანტრანსპორტიორი შევიდა. ყოფილი საბჭოთა იმპერიის ერთგული ჯარისკაცები გააფთრებით დაერივნენ ქართველთა სახლებს იარაღის ძებნის საბაბით. ისინი განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდნენ მამაკაცებისადმი.

სამხედროების მიერ განხორციელებული ოპერაციის შემდეგ სოფელს ოსი ექსტრემისტები „ეწვივნენ". უიარაღო ქართველებმა გაცლა ამჯობინეს, მიატოვეს სახლ-კარი. და მეღვრეკისში დაბანაკებულ ქართველ მილიციელთა დროებით შტაბს მიაშურეს.

— ცხინვალში გავიზარდე, იქვე ვმუშაობდი, ბევრი ოსი ამხანაგი და მეგობარი მყავდა, ბევრსაც შორიდან ვიცნობდი, მაგრამ შეიარაღებულ რაზმელებს შორის ვერც ერთი ნაცნობი ცხინვალელი ოსი ვერ აღმოვაჩინე. საგანგებოდ შერჩეულ სპორტული აღნაგობის ახალგაზრდებს აშკარად ეტყობათ, რომ ჩვენს სოფელში პირველად არიან. რუსულად გვიბრძანეს, ქართველებმა უნდა დატოვოთ სოფელიო. ახლა მამისაანთუბანში არც ერთი ქართველი აღარ დარჩა, ჩვენც ლტოლვილებად ვიქეცით, — გულისტკივილით გვითხრა გიორგი მ...-მა, რომლის გვარსაც მისივე თხოვნით შეგნებულად არ ვასახელებთ.

— ჩხრეკას თან ახლდა სროლა. დაჭრეს 38 წლის ზურაბ საბანაძე, რომელიც გორის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ბოლო დღეებში დაწვეს ქართველთა ექვსი სახლი, შიდა ქართლიდან ქართველთა აყრის იმპერიის ცენტრში შემუშავებული გეგმა ხორციელდება. ჩვენს მეზობელ სოფელ ერგნეთსაც ჩვენი ბედი მოელის. ოსი ექსტრემისტები მისკენ მიიწევენ, — თქვეს ლტოლვილებმა.

— მამისაანთუბნიდან გატაცებული ოთხი მძევლიდან ოსმა ექსტრემისტებმა ერთ-ერთი მათგანი, სასტიკად ნაცემი, კობა ზუბაშვილი სოფელში გამოგზავნეს და მძევლების განთავისუფლებისათვის 700 ათასი მანეთი მოითხოვეს. ასეთი თანხის გადახდა სასოწარკვეთილ მშობლებს არ შეუძლიათ. ვაწარმოებთ მოლაპარაკებას მძევლების გაცვლის თაობაზე. ყველაფერს ვაკეთებთ მათ გამოსახსნელად, — ამბობს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის დროებითი შტაბის მეთაური, მილიციის მაიორი გელა ხაბაშვილი.

ძნელია, ანუგეშო ამ ცოტა ხნის წინათ ოსი ექსტრემისტების მიერ სისასტიკით მოკლული 27 წლის ვაჟკაცის ზურაბ ტურაშვილის დედა, რომელიც შვილის ცხედარს დაეძებს. გამწარებული დედა მზად არის, ნებისმიერი თანხით იყიდოს შვილის ცხედარი, მაგრამ ოსი მკვლელები არ თანხმდებიან, რადგან ზურაბ ტურაშვილი მედგრად ებრძოდა მათ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე....

**საისი.**

# სროლა გრძელდება

— **დაშლილი** საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების მიერ შიდა ქართლში რუსეთის რსფსრ საზღვრის აღმნიშვნელი ნიშნის აღმართვის შემდეგ ოსი ექსტრემისტები კიდევ უფრო გათავხედდნენ, თავს ესხმიან შიდა ქართლის სოფლების ქართულ მოსახლეობას, — უთხრა სეისის კორესპონდენტს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულმა შიდა ქართლში პოლკოვნიკმა **თენგიზ ეპიტაშვილმა.**

— ოსმა ექსტრემისტებმა სოფელ მამისაანთუბანში დაწვეს ორი საცხოვრებელი სახლი, მძევლად წაიყვანეს ოთხი კაცი, რომელთა შორის ერთი ოსი ეროვნების წარმომადგენელი კოზაევი ქალაქ რუსთავიდან იყო ჩამოსული სოფელში სტუმრად. მძევლების განთავისუფლებისათვის ბანდიტები ითხოვენ 700 ათას მანეთს.

გვაქვს მონაცემები, რომ ცხინვალში დამატებითი სამხედრო ნაწილის შეყვანას აპირებს ე. წ. იმპერიის ცენტრი. საკავშირო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია უკიდურესად ძაბავს ქართველ და ოს ხალხს შორის არსებულ კონფლიქტურ მდგომარეობას. მართალია უკანასკნელი ხუთი დღის მანძილზე შიდა ქართლში მსხვერპლი არ არის, მაგრამ ინტენსიური სროლა ქართული მოსახლეობის სახლების მისამართით გრძელდება.

**რობერტ ცუცქირიძე,**
**სეისის კორ.**

# ყიზლარის საძოვრებზე

**მარცვლეულისა** და პურპროდუქტების წარმოების რესპუბლიკური გაერთიანების საწარმოებმა დაიწყეს სამრეწველო გამომუშავების საკვების მიწოდება ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე. ქართველი მეცხვარეების მისამართით ამ ნოყიერი კონცენტრატების პირველი 1.500 ტონა გაგზავნა ბათუმის კომბინირებული საკვების ქარხანამ. როგორც ქარხნის დირექტორმა რევაზ დიასამიძემ თქვა, საწარმოში შექმნილი ნედლეულის გარკვეული მარაგი, აგრეთვე ბოლო დროს გაუმჯობესებული დასატვირთად რკინიგზის ვაგონების მიწოდება, რაც შესაძლებლობას ქმნის დასახული პროგრამის შესაბამისად მოამარაგონ საძოვრები.

რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გამოსაზამთრებლად მყოფ ბრიგადებს საკვებით დიდ დახმარებას გაუწევს აგრეთვე მარნეულის პურპროდუქტების კომბინატი, რომელიც უშვებს ცხვრისა და ბატკნებისათვის საჭირო კონცენტრატებს. ჯერჯერობით კი მის მიერ გამომუშავებული პროდუქცია უმეტეს წილად იგზავნება მთიანეთის რაიონის ზამთრის საძოვრებზე. საწარმოს გადაწყვეტილი აქვს საჭირო ასორტიმენტის 300 ტონა საკვები გამოუშვას ამ რაიონის საიჯარო ბრიგადებისათვის.

როგორც გაერთიანების კომბინირებული საკვების მრეწველობის სამმართველოს უფროსმა რობერტ ბალიშვილმა გვაცნობა, პირუტყვის წლევანდელი გამოზამთრების პერიოდისათვის დარგის საწარმოებს გადაწყვეტილი აქვთ ყიზლარში მყოფ ქართველ მეცხვარეებს გაუგზავნონ 6.000 ტონა მაღალხარისხოვანი საკვები კონცენტრატები.

**ვალერიან ბაბუაძე,**
**სეისის კორ.**
**გიორგი გოგოხიას ფოტო.**

## ხიდი

# საქართველოსა და ავსტრიის ალპური ზონაში

**ქართველმა** და ავსტრიელმა ეკოლოგებმა გადაწყვიტეს ერთად „მოუშუშონ" იარები მთებს. ინსბრუკის სამთო-სათხილამურო ტრასების დაცვისა და აღდგენის ცენტრის ხელშეწყობით რესპუბლიკაში დაიწყო ბაკურიანისა და ფშანაურის მთის ფერდობების დაზიანებული ნიადაგობრივი საფარის გამოკვლევები.

— თუ სასწრაფო ზომებს არ მივიღებთ, ეკოლოგიური ვითარება ამ რეგიონებში გაუარესდება, — უთხრა სეისის კორესპონდენტს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორმა, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გიორგი ნახუცრიშვილმა. — ჩვენი ექსპედიცია ახორციელებს კვლევას, იყენებს უახლეს მიკროკომპიუტერულ ტექნიკას, რომელიც ავსტრიელმა კოლეგებმა გადმოგვცეს. სათხილამურო ტრასების ინტენსიური გამოყენება იწვევს ნიადაგის ძლიერ ეროზიას. ამასთან, ამ პროცესის დროს გადარჩენის „გამოცდის" ჩაბარება ყველა მცენარეს როდი შეუძლია. თოვლის საფარის გამკვრივება აუარესებს ეკოსისტემათა ცხოველქმედებას. განსაკუთრებით ძლიერ ეროზიას განიცდიან მთის ფერდობები გაზაფხულზე, როცა ჰაერის ტემპერატურის დათბობისას ალაგ-ალაგ შიშვლდება ნიადაგი.

ევროპელმა ექსპერტმა, პროფესორმა ალექსანდერ ჩერნუსკამ შემოგვთავაზა ერთობლივად შევიმუშაოთ დაზიანებულ ეკოსისტემათა აღდგენის ღონისძიებათა კომპლექსი. სამთო ტურიზმის განვითარების გამო ავსტრიის ტიროლის ალპებშიც ასეთივე ვითარება შეიქმნა. ერთობლივი მუშაობა დაგვეხმარება საერთო პრობლემების წარმატებით გადაჭრაში.

**ალა მიქოძე,**
**სეისის კორ.**

## გამოხმაურება

# რას ვუწუნებთ „ქართს"?

**თვალყურს** ვადევნებ დისკუსიას თემაზე — „რა დავარქვათ ქართულ ფულს?" არც ნუმიზმატობას ვიჩემებ, არც ისტორიკოსობას და არც ენათმეცნიერებას, მე მხოლოდ ჩემი ერისა და ქვეყნის სიყვარულმა ამაღებინა კალამი.

როგორც ამ თემაზე წერილების ბოლო მიმოხილვიდან შევიტყვე (ლ. ქინქლაძე. „საქართველოს რესპუბლიკა", 6 დეკემბერი, 1991), მომავალი ქართული ბანკნოტისა და ხურდის სახელებად სხვადასხვა ავტორები ძირითადად გვთავაზობენ არაქართული წარმომავლობის ტერმინებს. მათ შორის უპირატესობა ენიჭებათ სახელებს: „მანეთი", „კაპიკი", „მარჩილი".

ქართული ფულის ერთეულების საკუთარი სახელების ძიებისას ნეტა სად არის ჩვენი „ენა ქართული მყინვარივით გულზვიადი, ენა ქართული ზღვასავით ულევი"... ნუთუ ამ ულევ ზღვაში ორად ორი სახელი ვერ ვიპოვეთ, რომ არ დავესესხოთ ლათინურს, იტალიურს, ბერძნულსა თუ არაბულს?

დღეს, როგორც იტყვიან, კაპიკია „მანეთის" ფასი. სახელგატეხილი, გაუფასურებული „მანეთი" იქნებ ისტორიას ჩავაბაროთ, თან მივაყოლოთ მასში შემავალი „კაპიკი". რატომ უნდა გავიმეოროთ ისინი, რა გაგვიჭირდა ასეთი?

რაც შეეხება „მარჩილს", მოკრძალებით მინდა ჩემი მოსაზრება გაგიზიაროთ. როგორც კი ფულის ეს საკუთარი სახელი შევა ბრუნვაში, იგი ქართველთათვის უცილობლად „მარჩელოდ" იქცევა (გავიხსენოთ ბესარიონი—ბესო, კესარია—კესო, ლონგინოზი — ლონგო, ელენე — ელო და სხვა). აღარას ვამბობ საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხს „მარჩელოთი" რომ ექნებათ ჩვენთან ურთიერთობა. ვენეციის გამგებლის ნიკოლო მარჩელოს გვარი (მის დროს იჭრებოდა „მარჩილი") დღეს იტალიაში საკუთარ სახელადაა გადაქცეული. ამის საუკეთესო მაგალითია გამოჩენილი იტალიელი მსახიობი მარჩელო მასტროიანი. ასე რომ, მომავალი ქართული ფულის სახელი თუ „მარჩილი" იქნა, ხმარებისას ასოცირებული იქნება იტალიელ მსახიობთან. იქნებ უტრირებად ჩამითვალოთ, მაგრამ ეს ჩემი სატკივარია...

ის, რომ ქართული ფულის ნამდვილად ქართული სახელები თითქმის არ მოგვეპოვება, ფრიად საწყენია, მაგრამ საბედნიეროდ, არის გამოსავალიც. სწორედ აქ არის ჩვენი „ენა ქართული თასმასავით მოქნილი, ენა ქართული ღმერთების ენა"... ხომ არ დაგვავიწყდა, რომ ერთმა ავტორმა (იხ. „ქართული ფულის სახელწოდებისათვის", გაზეთი „თავისუფალი საქართველო", 23.8.1991) უკვე კარგა ხანია შემოგვთავაზა, ჩემი აზრით, საუკეთესო ვარიანტი — ეროვნული სულისკვეთებით აღბეჭდილი სახელი „ქართი", ორიგინალური და, რაც მთავარია, უდავოდ ქართული ტერმინი.

ფრანგული „ფრანკის" ანალოგიით, ლიტვისა და ლატვიის მთავრობებმა გამონახეს ბანკნოტების ეროვნული სულით გაჟღენთილი სახელები „ლიტი" და „ლატი". ამით, როგორც ბატონმა კორნელი დანელიამ შენიშნა, გაამჟღავნეს ეროვნული სახელმწიფოსადმი ლტოლვის მანიფესტაციის მძლავრი სურვილი. ბრძენ ქართველთა ნათქვამია, „წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო".

რაც შეეხება ქართულ სამონეტო ტერმინს, ვფიქრობ, რომ საუკეთესო იქნება „თეთრი" — უძველესი და, რაც მთავარია, ქართული. მართებულად აღნიშნავენ პროფესორი ზურაბ სარჯველაძე და დოცენტი გოჩა ჯაფარიძე, როდესაც წერენ, რომ, „თუ გვსურს ქართული და ამავე დროს ტრადიციული, რისკენაც ჩვენ ვისწრაფით, ასეთია „თეთრი". თუმცა არ გამოვრიცხავდი მშვენიერი ჟღერადობის სახელს „ლარი" (ძვ. ძვირფასი ნივთეულობა, განძი, საუნჯე. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი", 1986). იქნებ განძად გადაიქცეს ხურდა. შემოთავაზებულ ამ ტერმინს თავისი გამართლებაც აქვს ჩვენს ენაში — სალარო, მოლარე.

ნუ დავისესხებთ ნოტებს, ნუ შევიტანთ დისონანსს, რათა სამუდამოდ ვალში არ ვიყოთ საკუთარი ენისა, ერისა და ქვეყნის წინაშე.

**ცისია ჩხუბიანიშვილი,**
**ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.**

## საზღვარგარეთ

### ბეიკერის ვიზიტი

**შეერთებული შტატების** სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა დაიწყო ვიზიტი ყოფილ საბჭოთა კავშირში, იგი ეწვევა ბელორუსიას, უკრაინას, მოსკოვსა და შუა აზიის ზოგიერთ რესპუბლიკას. შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ვარაუდობს, რომ ბეიკერის ვიზიტის შემდეგ, უკეთ გაერკვევა, თუ რა მოხდა ყოფილ საბჭოთა კავშირში, კერძოდ, რა ფუნქციები დარჩა გორბაჩოვს მას შემდეგ, რაც სამმა სლავურმა სახელმწიფომ ბრესტის მახლობლად ხელი მოაწერა თანამეგობრობის შექმნას. ვიზიტის დაწყების წინ ბეიკერმა აღნიშნა, რომ უკრაინის, ბელორუსიისა და რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებმა ვაშინგტონის ადმინისტრაციას სთხოვეს, ცნოს მათი რესპუბლიკები. ბეიკერმა აღნიშნა, რომ ადმინისტრაცია შიშობს, რომ დაშლილი საბჭოთა კავშირის ბირთვული იარაღი ირანსა და ერაყს არ ჩაუვარდეს ხელში.

### პარლამენტის დადგენილება

**რუსეთის** პარლამენტის დადგენილებით, აღმოსავლეთ გერმანიის ყოფილ ლიდერს ერიხ ჰონეკერს 16 დეკემბრამდე მისცეს ვადა, რომ დატოვოს ჩილეს საელჩო მოსკოვში, სადაც სტუმრად იმყოფებოდა, და გაემგზავროს სამშობლოში, სადაც მას გაასამართლებენ. ერიხ ჰონეკერმა თავის დროზე ბრძანება გასცა, ესროლათ ყველასთვის, ვინც ე. წ. „ბერლინის კედლის" გადალახვას სცდიდა. ჩრდილოეთ კორეამ განაცხადა, რომ მზად არის მიიღოს 79 წლის ერიხ ჰონეკერი მკურნალობის საბაბით, როგორც ბონში გამოაცხადეს, რუსეთის მთავრობამ მათ აღუთქვა, რომ ჰონეკერს ჩრდილოეთ კორეაში არ გაგზავნის და შეეცდება მის გერმანიაში გაგზავნას. როგორც ცნობილია, პრეზიდენტი გორბაჩოვი წინააღმდეგია ჰონეკერის სამშობლოში გაგზავნისა და გასამართლებისა. გორბაჩოვის აზრით, ჰონეკერი უკვე ხანდაზმული ადამიანია, და უნდა ვაპატიოთო.

### ჯილდო ოკუჯავას

**გამოჩენილ** საბჭოთა ბარდს ბულატ შალვას ძე ოკუჯავას საბჭოთა კავშირის 1991 წლის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ბრესტში სამმა სლავურმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირის იურიდიულ დაშლას. შეიძლება ითქვას, რომ ოკუჯავამ, თუ ბოლო არა, ერთ-ერთი ბოლო საბჭოთა ფულადი ჯილდო მიიღო. მისი თქმით, საბჭოთა კავშირის დაშლას მიუძღვნა სიმღერა «А все таки жаль», იუწყება რადიოსადგური ბი-ბი-სი.

### კრავჩუკის პოზიცია

**უკრაინის** პრეზიდენტმა ლეონიდე კრავჩუკმა რადიოსადგურ „ისრაელის ხმის" კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა, თანახმა ვარ, უკრაინიდან ისრაელში ამოსულ ებრაელებს ორი მოქალაქეობა ჰქონდეთ — როგორც ისრაელის, ისე უკრაინის სახელმწიფოსიო.

### ბრძოლები გრძელდება

**რადიო** „თავისუფლება" იუწყება, რომ ბრძოლები გრძელდება. იუგოსლავიის ფედერალური არმია კვლავ ბომბავს აღმოსავლეთ ხორვატიის ქალაქებსა და სოფლებს, სადაც ხორვატი მებრძოლები არიან გამაგრებული. ქალაქ ოსიეკში, დაბომბვის შედეგად ოთხი კაცი დაიღუპა. ბრძოლებმა იუგოსლავიის მეორე რესპუბლიკის, ბოსნია-ჰერცეგოვინის ტერიტორიაზეც გადაინაცვლა, სადაც სულ უფრო ხშირად ხდება აქ მცხოვრები სერბებისა და ხორვატების შეტაკებები. ბოლო პერიოდში სერბებმა დაარბიეს ხორვატი მოქალაქეების სახლები და მაღაზიები. გაერო მომავალში ფიქრობს, ხორვატიაში ათი ათასამდე სპეციალური დანიშნულების ჯარისკაცის გაგზავნას, ამჟამად, კი ეს ვერ ხერხდება, რადგან, მოპირდაპირე მხარეები უხეშად არღვევენ ჰააგაში დადებულ ცეცხლის შეწყვეტის რიგით მეთოთხმეტე შეთანხმებას.

### ელენე ბონერი არ ცხრება

**საბჭოთა კავშირის** წყალბადის ბომბის ერთ-ერთი შემქმნელის, შემდეგ კი გამოჩენილი დისიდენტისა და პიროვნების უფლებათა დამცველის ანდრია სახაროვის ქვრივის ელენე ბონერის პოლიტიკური წინასწარმეტყველებანი ძნელად თუ მართლდება ხოლმე, მაგრამ დასავლეთის საინფორმაციო საშუალებები სახაროვის დიდი საერთაშორისო ავტორიტეტის გამო, ხშირად სთხოვენ ხოლმე კომენტარს, ამა თუ იმ პოლიტიკური მოვლენის გამო. რადიოსადგურ „ამერიკის ხმის" კორესპონდენტმა ელენე ბონერს ჰკითხა, თუ როგორ უყურებს იგი ბრესტის შეთანხმებას. პასუხად ქალბატონმა ელენემ აღნიშნა, ბრესტმა დაასამარა საბჭოთა კავშირი და იგი მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან გაქრა. სამაგიეროდ შეიქმნა სლავური თანამეგობრობა. ამ ვითარებაში დასავლეთს ორი რამ აშინებს. პირველი, ვის ხელში აღმოჩნდება ბირთვული ღილაკი, და მეორე, იქნება თუ არა სამოქალაქო ომი. ადრე ბირთვული ღილაკი ერთი კაცის ხელში იყო, ახლა მას ოთხი ადამიანი — ბელორუსიის, უკრაინის, რუსეთის ფედერაციისა და ყაზახეთის პრეზიდენტები აკონტროლებენ. ასე რომ, დასავლეთი უფრო იმედიანად უნდა იყოსო. რაც შეეხება სამოქალაქო ომს, იგი უკვე კარგა ხანია, დაიწყო მთიან ყარაბაღში და სამხრეთ ოსეთშიო. თუ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში ცოტა სისხლი დაიღვარა, ამ რეგიონებში მეტი იღვრებაო, ელენე ბონერი ამტკიცებს, რომ სამხრეთ ოსეთში ერთმანეთს ებრძვიან ოსები და ქართველები და, ამ უკანასკნელთ კი ოსების მოსპობა სურთო. რაც შეეხება მთიან ყარაბაღს, იქ სომხები და აზერბაიჯანელები კი არ იბრძვიან, არამედ ყარაბაღის თვითგამორკვევისთვის არის ბრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ კარგად ვიცით ელენე ბონერის ანტიქართული განწყობილება, მაინც ძნელია, რაიმე კომენტარი გაუკეთო მის ბოლო თეზისს.

### ფაშიზმს უტოლდება

**კომუნიზმის** მხარდაჭერა ან პროპაგანდა ჩეხეთ-სლოვაკეთში ამიერიდან სისხლის სამართლით დასჯად დანაშაულად ითვლება. ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის მუხლი, რომელიც მოიწონეს ფედერალური პარლამენტის აქ მიმდინარე მორიგ სესიაზე, ითვალისწინებს ერთიდან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც მხარს უჭერენ მოძრაობებს, რომელთა მიზანია პიროვნების უფლებათა და თავისუფლებათა ჩახშობა ანდა ეროვნული, რასობრივი, კლასობრივი და რელიგიური შეურიგებლობის პროპაგანდა. ამრიგად, კომუნიზმი ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში ოფიციალურად უტოლდება ფაშიზმს, რაზეც ლაპარაკია სისხლის სამართლის კოდექსის მუხლში.

### პეკინის პოზიცია

**პეკინში** გამოაცხადეს, რომ ჩინეთის ხელისუფლება იწონებს ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას. ამ დღეებში ერთმანეთს შეხვდნენ ორივე ქვეყნის წარმომადგენლები ე. წ. „უბირთვო ზონების" შექმნის საკითხზე მოსალაპარაკებლად. ამავე დროს, ცნობილი გახდა, რომ სამხრეთ კორეიდან გაიტანეს უკანასკნელი ამერიკული ბირთვული მუხტი.

### გაეროს მოწოდება

**გაერთიანებული** ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ამ ორგანიზაციაში შემავალ ქვეყნებს მოუწოდა, რომ მათ გააუმჯობესონ ეკონომიკური და სპორტული კავშირები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან, რომელიც „აპარტეიდის" პოლიტიკის გატარების საბაბით წლების განმავლობაში საერთაშორისო იზოლაციაში იყო მოქცეული.

### სანქციები ჰაიტის წინააღმდეგ

**გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი"** წერს, რომ ჰაიტის წინააღმდეგ მიმართული ეკონომიკური სანქციები, უწინარესად, ქვეყნის ღარიბ მოსახლეობას აზარალებს. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ ჰაიტის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები მას შემდეგ შემოიღო, რაც აქ რამდენიმე ხნის წინათ სამხედროთა ჯგუფებმა დაამხეს პრისტიდის დემოკრატიული წესით არჩეული სამოქალაქო ხელისუფლება.

### კადაფის განმარტება

**ლიბიის** ჯამაჰირიის ლიდერმა მუამარ კადაფიმ განაცხადა, რომ იგი თავის ქვეყანაში არ მიიპატიჟებს საბჭოთა ბირთვული იარაღის სპეციალისტებს, რომლებიც შესაძლოა მალე უმუშევრები დარჩნენ. კადაფის აზრით, ლიბიას არ აქვს ბირთვული იარაღის შექმნის პროგრამა. ხოლო ის ობიექტები, რომელთა მიმართაც დასავლეთის ექსპერტებს ეჭვი აქვთ, რომ იქ ატომური ბომბი მზადდება, სინამდვილეში მედიკამენტებს ამზადებსო.

### ტრანსპორტის სამინისტროს განცხადება

**ყოფილი** საბჭოთა კავშირის რკინიგზის ტრანსპორტის სამინისტრომ განაცხადა, რომ 1992 წლის პირველი იანვრიდან შეწყდება მოსკოვიდან საზღვარგარეთ მატარებლების მიმოსვლა. იუწყებიან, რომ ტრანსპორტის სამინისტროს საზღვარგარეთის ფირმებისა 150 მილიონი დოლარი მართებს. მალე მოსალოდნელია მოსკოვის აეროვაგზლებიდან ევროპისა და აზიის ქვეყნების დედაქალაქებში თვითმფრინავების მიმოსვლის შეწყვეტაც.

### მდგომარეობა მოლდოვეთში

**მოლდოვეთიდან** იუწყებიან, რომ ე. წ. დნესტრისპირეთის რესპუბლიკის ქალაქ დუბოსარში დაჭრეს მოლდოველი პოლიციელი. უფრო ადრე, ამ ქალაქში სეპარატისტების მხრიდან ატეხილი სროლის შედეგად დაიღუპა 5 მოლდოველი პოლიციელი. იუწყებიან, რომ თვითმარქვია დნესტრისპირეთის რესპუბლიკის ლიდერმა სმირნოვმა არ ისურვა მოლდოვეთის წარმომადგენლებთან შეხვედრა ვითარების მოგვარების მიზნით.

### კლებულობს ნავთობის მოპოვება

**ყოფილი** საბჭოთა კავშირი კვლავ ნავთობის უდიდესი მწარმოებელია მსოფლიოში, მაგრამ 1988 წლიდან, როცა მიღწეული იყო მისი წარმოების პიკი — დღეში 12,4 მილიონი ბარელი, ნავთობის მოპოვება განუხრელად მცირდება. ამერიკელთა შეფასებით, 1991 წლის მიწურულისათვის საბჭოთა ნავთობის წარმოება შეიძლება 10 მილიონ ბარელზე ნაკლები იყოს დღეში. ეს განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ ჰენსონ მორმა, რომელიც გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ენერგეტიკისა და ვაჭრობის კომიტეტის ენერგეტიკისა და ელექტროენერგიის ქვეკომიტეტში მოსმენაზე. იგი მიეძღვნა საბჭოთა ნავთობის მრეწველობაში შექმნილ მდგომარეობას.

### მეფემ დაავალა

**ბელგიის** მეფემ ბოდუენმა ახალი მთავრობის ჩამოყალიბება დაავალა თავისუფლებისა და პროგრესის პარტიის 38 წლის თავმჯდომარეს გი ვერჰოფსტადტს. ქვეყნის ფლამანდიის ჩრდილოეთ ნაწილის ლიბერალთა ლიდერის წინაშე, მიმომხილველთა აზრით, დასახულია უაღრესად რთული ამოცანა მთავრობის შემოდგომის კრიზისის და პარლამენტის ვადამდე გამართული არჩევნების შემდეგ. მმართველი უმრავლესობის კოალიციის შესაქმნელად უნდა მიაღწიონ კავშირს ბელგიის ფრანკოფონის და ფლამანდიის სოციალისტურ პარტიებთან. გამორიცხული არ არის არც „სამმაგი" ალიანსის ვარიანტი, რომელშიც შედიან აგრეთვე დემოკრატიული ქრისტიანები. მაგრამ იგი ნაკლებსავარაუდოა პარტიათაშორისი უთანხმოების გამო, რომლებსაც ეროვნული წინააღმდეგობანი ემატება.

### მოსპო „სუპერიარაღი"

**გაერთიანებული** ერების ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად ერაყმა მოსპო თავისი „სუპერიარაღი", რომელსაც ვითომდა უნარი შესწევდა ჭურვები გაეგზავნა 1000 კილომეტრამდე მანძილზე. ეს ბაღდადიდან გამგზავრების წინადღეს განაცხადა გაეროს ექსპერტმა პატრიკ პალანკამ. მისი თქმით, იგი პირადად დაესწრო კაიროს სამხრეთით 30 კილომეტრზე ისკენდერიაში სპეციალურ მოედანზე გიგანტური იარაღის ყველა მექანიზმის აფეთქების პროცედურას. უფრო ადრე ამ უზარმაზარი კალიბრიანი იარაღის გიგანტური ლულა დაიჭრა ნაწილებად.

პალანკმა აგრეთვე განაცხადა, რომ სუპერიარაღის მოსპობა საბოლოო ნაბიჯი გახდა ერაყის „ბალისტიკური პოტენციალის" ლიკვიდაციაში, რომელიც ბაღდადის რეჟიმმა წარუდგინა გაეროს მეთვალყურეებს.

### რობერტ მაკნამარას პოზიცია

**ჩემი** აზრით, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ხალხებმა თავად უნდა განსაზღვრონ თავიანთი ბედი; მათ თავად უნდა აირჩიონ პოლიტიკური სისტემა და შეიმუშაონ პრინციპები, რომლებსაც დაეფუძნება მომავალში მათი ურთიერთობა. ეს განაცხადა ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, საერთაშორისო ურთიერთობათა დარგის სპეციალისტმა, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა და მსოფლიო ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა რობერტ მაკნამარამ, რომელიც ეწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინას.

### რეიტერის ცნობა

**რეიტერის** სააგენტო იუწყება, რომ რუსეთის ნაციონალისტურად განწყობილმა ლიდერმა ჟირინოვსკიმ სანქტ-პეტერბურგის მერი ანატოლი სობჩაკი დუელში გაიწვია. ჟირინოვსკიმ თქვა, სობჩაკმა ბევრი საჯარო შეურაცხყოფა მომაყენა და როდესაც უნდა, სადაც უნდა, დუელში იქ შევხვდები, გინდა ცხენებზე ამხედრებული, დაშნებით ხელში, გინდა ცეცხლსასროლი იარაღით, გინდა მუშტითო. სობჩაკის რეაგირება ჟირინოვსკის გამოწვევაზე ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

### პერსპექტივა არა აქვს

**სამი** სლავური რესპუბლიკის თანამეგობრობად გაერთიანება „უფრო ტაქტიკური ნაბიჯია, ვიდრე სტრატეგიული, რომლის მიზეზია ამ სახელმწიფოთა ლიდერების შიში, ვაითუ გავლენა დავკარგოთ რესპუბლიკებში ეკონომიკური კრიზისის შედეგადო", მიაჩნია ესტონეთის პრემიერს ედგარ სავისაარს. სამი პრეზიდენტის ამ ნაბიჯს სამომავლოდ პერსპექტივები არა აქვს, თქვა მან გაზეთ „ბოლტიკ ნიუს სერვისისათვის" მიცემულ ინტერვიუში. „გაღრმავებულმა პოლიტიკურმა ქაოსმა, პოლიტიკურმა კრიზისმა რესპუბლიკებში შეამცირა რუსეთისა და უკრაინის დემოკრატიული ძალების გავლენა" — დასძინა სავისაარმა.

# კვინ და როგორ გვებრძვის

**ტელევიზიით** გადმოცემულმა პრეზიდენტისა და აქციის მომწყობ სტუდენტთა ჯგუფის შეხვედრამ, ა. წ. 15 ნოემბრის გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" ერთი პუბლიკაცია გამახსენა. „თბილისური არდადეგები" — ასე ერქვა სტატიას და ხელს აწერდა სპეციალური კორესპონდენტი ქ. ზელიანინოვი. სტატიის ქვესათაური — „უნივერსიტეტი დაკეტილია, ფრონტზე არავის მიეჩქარება" გულს სწყდება ავტორს, რომ ომი არ არის თბილისში და, რაც მთავარია, სტუდენტები არ მიისწრაფიან საომრად. ვის წინააღმდეგ? რასაკვირველია, მთავრობისა! სტუდენტობა ხომ იმისთვის არის, რომ მთავრობას ეომოს, მიუხედავად იმისა, ეს მთავრობა კომუნისტურია, თუ უკვე ხალხის არჩეული. ინტელიგენცია ღრმა ოპოზიციაშია, წერს კორესპონდენტი, პრეზიდენტმა დახურა ყველა გაზეთი და ტელევიზია, გადააყენა თავისი ძველი ხალხი თანამდებობიდან, მოიწვია და დაეყრდნო პროვინციელ გლეხს ამ დროს კი საქართველოში სტუდენტობა დუმს. „მე არ მინდა ვინმეს რაიმესკენ მოვუწოდო და არ ვაპირებ სტუდენტების საბრძოლველად გამოყვანას", — ბრძანებს ზელიანინოვი და ფაქტობრივად უკვე მოუწოდებს, „ქართველმა სტუდენტებმა გააქარწყლეს მითი სტუდენტური მოძრაობის ძლიერებაზე"... „სტუდენტური მოძრაობა ფიქციაა". აი, ასე, სირცხვილი თქვენ, ქართველო სტუდენტებო, ვერ ამართლებთ „კომსომოლსკაია პრავდისა" და ზელიანინოვის იმედებს. ძალიან ცდილობს სპეცკორი, ყველაფერს კადრულობს, ოღონდ სტუდენტებში იმ [illegible] თავმოყვარეობაზე იმოქმედოს, ემოციების გარკვეული სპექტრი შექმნას და მერე, მერე უფრო ადვილია მისი საჭირო მდინარებაში ჩაყენება. თვად განსაჯეთ: „შევარდნაძე, პატიაშვილი და გუმბარიძე ჩვეულებრივ საქმედ თვლიდნენ სტუდენტებისთვის ანგარიში ჩაებარებიათ, თუ კი ისინი ამას მოისურვებდნენ და მოითხოვდნენ, გამსახურდია კი ერთხელაც არ ყოფილა უნივერსიტეტში, — წერს ზელიანინოვი, ცეკას მდივნები ხაზგასმით პატივს სცემდნენ სტუდენტობას. ახალი ხელისუფლება კი მათ არც კი ამჩნევს. სრულებით". ხედავთ, სტუდენტებო, როგორ გექცევათ თქვენი მთავრობა? მერე რა, რომ ახლა სამაჩაბლოში ომია, აფხაზეთში საომარი სიტუაციაა, რესპუბლიკაში ბანდიტები დათარეშობენ, ეკონომიური ბლოკადა, საბოტაჟი და კორუფციაა; თქვენ იომეთ სტუდენტებო. კი, მაგრამ, რატომ არიან ქართველი სტუდენტები ასეთი უნიათოები, წუხს ზელიანინოვი. სტუდენტობა ძლიერი იყო მაშინ, განაგრძობს იგი, როცა მტერი იყო ცნობილი, იმიტომ, რომ მას ებრძოდა ინტელიგენცია — ეს კომუნიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალა. ე. ი. სტუდენტობა კი ვერ ხვდებოდა ვისთვის და რისთვის ებრძოლათ, ისინი ინტელიგენციას მიჰყვებოდნენ, როგორც რეალური ძალა. ახლა, როდესაც ინტელიგენცია გაიყო, სტუდენტობა დაიბნა და ვერ გააკეთა დამოუკიდებელი არჩევანი. ცდილობს ლოგიკური იყოს კორესპონდენტი, მაგრამ ვერ მიმდინარეობს მოვლენები მისი ლოგიკით, კარგა ხანია ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი განუდგა საქართველოს მთავრობას, გამოდის რა ერის საუკეთესო ნაწილის სახელით, მაგრამ ქართველ სტუდენტობას მაინც არ სჯეროდა, ეტყობა, რაღაც-რაღაცეების, და დუმდა, როგორც ზელიანინოვი ფიქრობს, ჯერ ერთი, ქართველი ახალგაზრდების დაყოფა სტუდენტებად, სკოლის დამამთავრებლებად, ტექნიკუმის მოსწავლეებად, ახლად უმაღლესდამთავრებულებად, მხოლოდ იმას აძლევს ხელს, ვისაც მტრული ზრახვები აქვს ქართველი ხალხის მიმართ, თორემ ქართველი ახალგაზრდობა არასოდეს არ გამდგარა განზე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს.

ახლა რა ვუყოთ ზელიანინოვის მიერ გამოყოფილ და „დაბნეულ" სტუდენტობას". აგერ არის „კომსომოლსკაია პრავდა" და ის აარჩევინებს სწორ გზას; თუმცა, ზოგიერთი მიმართულება უკვე ჩანს — სტუდენტთა უმრავლესობა ოპოზიციას უჭერს მხარს, — განუცხადებია კორესპონდენტისათვის ქართველი სტუდენტების ერთ-ერთ ლიდერს — საშა რუსეცკის, მაშ რაშია საქმე, რატომ დუმხართ, იმოქმედეთ სტუდენტებო! თქვენ გგონიათ, მართლა არ ეშინია თქვენი პრეზიდენტს? მაშ, რატომ შეაჩერა სწავლა 1 ოქტომბრამდე? მაშინ გამეცინა ამ სტატიაზე, არ მეგონა ქართველი სტუდენტების ნაწილი ასე ადვილად თუ წამოეგებოდა ამ პროვოკაციას.

ჩვენ გვინდა შემრიგებლები ვიყოთ, აცხადებენ აქციის მონაწილე სტუდენტები, საშა რუსეცკიმაც ასე დაპროგრამა სტუდენტთა მომავალი მოღვაწეობა კორესპონდენტთან საუბარში, მაგრამ მათი მოთხოვნები და წინადადებები 2 წვეთი წყალივით იმეორებს ოპოზიციისას. შემრიგებელს თუ ოპოზიციის ყველა პუნქტი და ნაბიჯი მოგწონს, არც შეიარაღებულ პუტჩს ცნობ საქართველოში, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებას „ყოჩაღ ბიჭებს" დაარქმევ და ჩვენს მთავრობას კგბ-ს მოკავშირედ მონათლავ, მაშინ როგორი შემრიგებლები ხართ, ყმაწვილებო, თქვენ?

— მე ორჯერ შევხვდი ზვიად გამსახურდიას, უამბობს კორესპონდენტს სტუდენტი გიორგი მაისურაძე. უსარგებლოა საუბარი ადამიანთან, რომელსაც სტუდენტობა ოპოზიციის მომხრედ მიაჩნია და ყველგან —კრემლის აგენტები ეგულება. კრემლის აგენტები, რასაკვირველია, ბრჭყალებშია ჩასმული, თითქოს არ არსებობდეს ასეთი რამ. არ არსებობენ, ბ-ნო გიორგი, კრემლის აგენტები? ან რად გიკვირთ ბ-ნი პრეზიდენტის ნათქვამი, თვით საშა რუსეცკი არ ამბობს, რომ უმრავლესობა ოპოზიციას ვემხრობითო? უნივერსიტეტის ერთ-ერთ პროფესორს არ სჯერა, თურმე, რომ მოსკოვის გაზეთებში სუკი მოღვაწეობს; იქნებ ისიც არ გჯერა, რომ მოსკოვის ტელევიზიაში სუკი მოღვაწეობს, ან რადიოსადგურ „თავისუფლებაში?" ამას რუსეთის პრესა თვითონ არ მალავს უკვე. სულ ახლახან არ გამჟღავნდა „საიუდისისა" და ლიტვის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი ყოფილი ლიდერისა და დეპუტატის ჩეპაიტისის კგბ-ს აგენტობა — ანუ კრემლის აგენტობა?

დიდი უბედურებაა ხალხის ორ ბანაკად გახლეჩა პოლიტიკური სარჩულით, მიუხედავად იმისა, თუ რა სიდიდისაა თითოეული ბანაკი. მით უმეტეს მტრულ გარემოცვაში და საომარ მდგომარეობაში მყოფი პატარა ქვეყნისათვის. ორივე ბანაკში ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები არიან ბედის უკუღმართობით ერთმანეთის დაპირისპირებული. მაგრამ მარტო ბედის უკუღმართობით არა ,ამაზე სწორედ ის კრემლის აგენტები მუშაობენ, რომელთა არსებობაც ზოგიერთს რატომღაც არ სჯერა. დიდი უბედურებაა ასეთი გაყოფა ახალგაზრდობაში — სტუდენტობაში. ეს რომ არ მომხდარიყო, ამიტომ არ იწყებდნენ სწავლას, ამიტომ ცდილობდნენ უნივერსიტეტისთვის ჩამოეცილებინათ ოპოზიცია და პოლიტიკური დებატებისათვის სხვა ადგილი მიეჩინათ (საბჭოთა კავშირში, ჩინეთში, და კორეაშია უნივერსიტეტი პოლიტიკური ასპარეზი, სხვაგან უნივერსიტეტი ცოდნის ტაძარია. ამას თავისი მიზეზები აქვს და ახლა ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანდა. ამისთვის შექმნა სუკმა მოსკოვში პატრის ლუმუმბას უნივერსიტეტი, საიდანაც მთელს მსოფლიოში იგზავნებოდა არა მარტო მარქსიზმ-ლენინიზმით შეიარაღებული ხალხი) მაგრამ კრემლის აგენტები რისი აგენტები იქნებიან, თუ სწორედ იმას არ ეცდებიან, რაც საქართველოს ზიანს მოუტანს, ახალგაზრდობაში უნდობლობასა და შუღლს დათესავს, პარლამენტს დაასუსტებს, ოსეთად წოდებულ შიდა ქართლს და აფხაზეთს აამბოხებს, მსოფლიოში სახელს გაგვიტეხს და ამით ნაოცნებარს და ნალოლიავებს, ნატყვიარსა და ნასისხლავ თავისუფლებას... არა, ამას უკვე ვერავინ წაგვართმევს, მაგრამ, გაგვიჭიანურებს, გაგვაწამებს, ქართველებს დაგვასუსტებს და იქნებ დაგვაჩოქოს კიდეც. „ჩვენთვის დამოუკიდებელი საქართველო თვითმიზანი არ არის, უთქვამს ზელიანინოვისთვის გიორგი მაისურაძეს, ჩვენ იმისთვის კი არ ვიბრძოდით, რომ საქართველო იყოს დამოუკიდებელი ალბანეთი ან კუბა". ვაი, რომ ბევრი გზა გვაქვს გასავლელი, სანამ ალბანეთს ან კუბას შევედრებოდეთ. ეს დამოუკიდებელი ქვეყნები არიან, გაეროს წევრები, ოღონდ თავს მოხვეული ხელისუფლებით. დღეს კი ამ ხელისუფლებათა ფორპოსტები აღარ არსებობს, მათთვის არ სცალია ყოფილ საბჭოთა კავშირს და ალბანეთისა და კუბის ნათელი დღეები სულ ახლო მომავალია. მაგრამ განა საქართველო დღეს თავსმოხვეული ხელისუფლებიანი ქვეყანაა? განა პარლამენტი ხალხმა არ აირჩია? თვით „კომსომოლსკაია პრავდის" კორესპონდენტიც კი ვერ უარყოფს, რომ „პრეზიდენტმა გაიმარჯვა ნამდვილად დემოკრატიულ არჩევნებში ფანტასტიკური უპირატესობით".

მაშ, თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა, რა უნდა იყოს ქართველების, ქართველი სტუდენტების მიზანიც და თვითმიზანიც? ერის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას სიტყვა „თვითმიზანი" არ ეგების. „თვითმიზანი" შეიძლება ვიხმაროთ პიროვნების თავისუფლების, თუნდაც მისი სიცოცხლის მიმართ, მაგრამ ერის და ქვეყნის თავისუფლება და „თვითმიზანი", სრულიად შეუსაბამოა.

„ქართველი სტუდენტობა, პირველად თავისი მრავალწლის ისტორიის მანძილზე, არ აღმოჩნდა მზად რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებისთვის", წუხს ზელიანინოვი. მე კი მგონია, რომ სწორედ მზად იყო სტუდენტობა და მთელი ახალგაზრდობა ამისათვის, სწორად განსაჯა მიმდინარე მოვლენები და სწორედ იქ დადგა, სადაც დღეს სჭირდება საქართველოს, და არა „კომსომოლსკაია პრავდას" და ზელიანინოვს. ვუსმენდი აქციის მონაწილე სტუდენტთა მოთხოვნებს და ისევ სტატია მახსენდებოდა — „საქმე პრეზიდენტის პიროვნებაშია, — წერს ზელიანინოვი, — რომელიც ცდილობს გახდეს დიქტატორი". „თქვენ ისევ იმ უკომპრომისო პიროვნებად დარჩით", — უთხრა პრეზიდენტს ერთმა სტუდენტმა. სამწუხაროა, როცა ასე „ემთხვევა" შინაურისა და გარეულის აზრი ერთმანეთს.

„სტუდენტების აზრით, საქართველო მზად არ არის საპრეზიდენტო მმართველობისთვის, რესპუბლიკას არ სჭირდება პრეზიდენტი, მას სჭირდება ძლიერი პარლამენტი", — წერს ზელიანინოვი და აქაც ემთხვევა აზრები და ესეც ძალიან სამწუხაროა. ე. ი. საქართველოს უნდა მხოლოდ ძლიერი პარლამენტი, ან უკიდურესად ძლიერი პარლამენტი და სუსტი პრეზიდენტი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ძლიერი პრეზიდენტი და ძლიერი პარლამენტი. ეს საქართველოსთვის ზედმეტი ფუფუნებაა.

რა უნდათ „კომსომოლსკაია პრავდას" და ზელიანინოვს, ხომ ცნობილია, რატომ „არ არის მზად საქართველო პრეზიდენტის ინსტიტუტისთვის", ესეც ცნობილია (ისე, ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა მზად არის) და არა მიხვედრებით და ჭორებით. ეს ყველაზე კარგად ელენე ბონერ-ალიხანოვამ ბრძანა. საქართველოს დაკარგვა ძნელი მოსანელებელია. დაპყრობა? დაპყრობა ყოველთვის არ არის ცუდი. ასე ჰგონია, ყოველ შემთხვევაში, ტატიანა ტოლსტაიას ა. წ. 10.XI — „მოსკოვსკიე ნოვოსტიში". ამერიკა ხომ დამპყრობლებმა შექმნეს, ერმაკს რომ ციმბირი არ დაეპყრო, რუსეთი პატარა იქნებოდაო. ასეთ დემაგოგიურ აზრებს ქ-ნი ტ. ტოლსტაია ქ. ტაუსონიდან გვაწვდის, ხომ გასაგებია, რა მიზანს ემსახურება ეს? იგივე „მოსკოვსკიე ნოვოსტის" ა. წ. 10 ოქტომბრის ნომერში სერგი რაზგონოვი საქვეყნოდ მოთქვამს — „ბალტიისპირეთი მივეცით (ვის? გ. მ.), ყირიმი დავთმეთ, კურილიებს ვყიდით". ისევ იმ დროს მისტირის, როცა რუმიანცევს ზადუნაისკი უწოდეს, სუვოროვს — რიმნეკელი, ხოლო პოტიომკინს— თავრიელი. „ღმერთო, ნუთუ ისევ ვლადიმირ-სუზდალის რუსეთი ვიქნებით, — კითხულობს რაზგონოვი. არა, ბატონო, არ იქნებით, დიდია რუსეთი, მაგრამ იმყოფინეთ რუსეთი და ქართველებს დაგვაცალეთ ეს პატარა საქართველო.

ქართველებო! ნუ წამოვეგებით მანქურთთა პროვოკაციებს, ნუ გავუმწარებთ ერთმანეთს სიცოცხლეს, ნუ გავუადვილებთ მტერს მტრულ საქმეს, ნუ დავყოფთ ისედაც დაყოფილ და დაგლეჯილ ქვეყანას. ჩვენი თავისუფლება და ბედნიერება ახლოსაა, ძალიან ახლოს, ქართველების დამარცხება თუ იყო, დროებითი იყო, საქართველო იცოცხლებს და გაიმარჯვებს. დღეს № 43 „არგუმენტი ი ფაქტიც" კი აღარ მალავს, რომ „მიუხედავად მასირებული კრიტიკის ცეცხლისა, ოპოზიციის მხრიდან... აბრალებენ რა ზვიად გამსახურდიას დიქტატორულ ქცევას, უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ ხალხმა დაიცვა ის ხელისუფლება, რომელიც თვითონ აირჩია".

**გურამ მირცხულავა,**
ივრის ხეობის კომპლექსური ექსპედიციის ხელმძღვანელი, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი.

## ქვემო ქართლი

### კანონი უნდა კანონობდეს

**მარნეული:** რაიონში ვითარება კვლავ დაძაბულია. გრძელდება პრეფექტურის შენობის პიკეტირება. მოქალაქეთა ერთმა ჯგუფმა პიკეტი მოაწყო რაიონის პროკურატურის შენობასთანაც. არ მუშაობს მთელი რიგი ორგანიზაციები და დაწესებულებები, ზოგი კი შეფერხებით მუშაობს. სახალხო მეურნეობა დიდ ზარალს განიცდის. სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში შეფერხებულია ფულადი ოპერაციები, სოფლის მეურნეობაში ვერ შემოაქვთ საწვავ-საპოხი მასალები, სასუქები, მექანიზმები, კომბინირებული საკვები, სხვადასხვა მცენარის თესლი.

რაიონის აქტივის კრებამ გადაწყვიტა სტადიონზე მიტინგის მოწყობა, სადაც პასუხი უნდა გაეცათ მოპიკეტეთა მცირე ჯგუფის უკანონო, არაკონსტიტუციური მოქმედებისათვის. მოპიკეტეები ავტომანქანებით დადიოდნენ საწარმოებსა და დაწესებულებებში, ანგარიშის გასწორებით ემუქრებოდნენ იმათ, ვინც გაბედავდა მიტინგზე წასვლას. დანიშნულ დროს სტადიონისკენ მიმავალი გზაც კი ჩაკეტეს და სანქცირებული მიტინგი ჩაშალეს. მოპიკეტეთა შორის, სამწუხაროდ, არიან სხვა რაიონებიდან ჩამოსული პირებიც.

ხდება ძალადობა, უხეშობა. რაიონის მილიციის თანამშრომელი მერაბ შუბითიძე, რომელიც თბილისშია მუდმივად ჩაწერილი, თვითნებურად შეიჭრა და დაიკავა პრეფექტურის ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკის საცხოვრებელი ბინა. მოპიკეტეებმა გაიტაცეს პრეფექტის მოადგილისა და რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის სასამსახურო „გაზ-24" მარკის ავტომანქანები პირადი გამოყენების მიზნით. პრეფექტის თანაშემწე, რომელიც რაიონში რამდენიმე წელიწადია მუშაობს, გააფრთხილეს, დატოვოს რაიონი და ოჯახით იქ წავიდეს, სადაც დაიბადა. ერთი სიტყვით, ძალადობა მძვინვარებს.

როგორც რაიონის ხელმძღვანელებმა და სამართალდამცავმა მუშაკებმა გვაცნობეს, მოპიკეტეები თავისუფლად დანავარდობენ პრეფექტურის შენობაში, და ეპატრონებიან სხვადასხვა აუცილებელ ოფიციალურ დოკუმენტებს. ამით კი კარავში ღრეობენ და ქცევის ელემენტარულ ნორმებს არღვევენ.

ასევე გვაცნობეს, რომ აქციის ორგანიზატორები არიან განაწყენებული და თანამდებობიდან დათხოვილი ადამიანები — რაიონის მილიციის ყოფილი უფროსი ნ. მუმლაძე, პრეფექტის ყოფილი მოადგილე თ. კიპაროიძე, სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსი ა. შუბითიძე, რაიკოოპკავშირის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე ა. გურგენიშვილი, ცენტრალური ლაბორატორიის გამგე ბ. ქალდანი. აღსანიშნავია, რომ აქციაში მონაწილეობენ მერაბ კოსტავას საზოგადოების რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის ორი წევრი და სახალხო ფრონტის ადგილობრივი ორგანიზაცია.

რაიონის მშრომელები მოითხოვენ წესრიგისა და სიმშვიდის დაუყოვნებლივ აღდგენას, კანონი უნდა კანონობდეს.

### აფეთქება პრეფექტურის შენობაში

**ბოლნისი.** მოსახლეობის ოპოზიციურად განწყობილი ნაწილი ცდილობს შექმნას ქაოსი და განუკითხაობა, სჩადიან მძიმე კრიმინალურ დანაშაულობებს. 13 დეკემბერს აფეთქება მოხდა ბოლნისის პრეფექტურის შენობაში. ზარალი საკმაოა, საბედნიეროდ სამუშაო საათები დამთავრებული იყო და მსხვერპლი არ არის. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

### ვითარება სასიკეთოდ იცვლება

**დმანისი:** რაიონში მიღწეულია ვითარების ერთგვარი სტაბილიზაცია, — უთხრა სეისის კორესპონდენტს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულმა დმანისის რაიონში შაქრო წინწკალაძემ. — აღდგა შრომის რიტმი, ჩვეულებრივი გრაფიკით მუშაობენ საწარმოები და დაწესებულებები, საზოგადოებრივ მეურნეობებში მიმდინარეობს პირუტყვის გამოზამთრება, საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადება.

მაგრამ პრობლემები კვლავ საკმაოდაა. ბევრგან ფერხდება ხელფასების, კომპენსაციების, პენსიების, დახმარების გაცემა. ჭირს სურსათ-სანოვაგე, პირველი მოთხოვნილების საგნები. სამწუხაროდ, რაიონი მეტს ითხოვს რესპუბლიკისგან, ვიდრე თვითონ აძლევს მას. ასე კი შორს ვერ წავალთ.

სეისი.

# გვექნება თუ არა პური?

**დღეისთვის** რესპუბლიკის ბეღლებში არსებული ხორბლის მოცულობა საქართველოს მოსახლეობის პურის გამოსაცხობად 1992 წლის 5 იანვრამდე ეყოფა. ასე ფიქრობს პურპროდუქტების რესპუბლიკური გაერთიანების უფროსი გურამ ჩოკორაია. მაგრამ, მანვე დაგვაიმედა, რომ აღნიშნული დროის განმავლობაში არ შემცირდება ამ პროდუქტის ცხობის ყოველდღიური ნორმები. ამავე დროს კი, უკანასკნელი წლების სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ერთი წლის განმავლობაში რესპუბლიკის მოსახლეობას საშუალოდ სჭირდება მილიონ 200 ათასი ტონა ხორბალი.

— ამ დღეებში, — თქვა ბატონმა გ. ჩოკორაიამ, — თურქეთიდან დავიწყებთ 100 ათასი ტონა პურის ფქვილის შემოტანას, რაც რესპუბლიკის მოსახლეობას დამატებით კიდევ თვენახევარს ეყოფა. უკრაინიდან კი მივიღებთ რვა ათას ტონას, ხოლო ფოთისა და ნოვოროსიისკის ნავსადგურებიდან პირველ იანვრამდე დასახულია შემოვზიდოთ სულ ცოტა 70 ათასი ტონა ხორბალი. ყველა ამ საკითხზე, ჩვენს გარდა, მუშაობს სამთავრობო შტაბი, სადაც გაერთიანებულია რესპუბლიკის მრავალი სამინისტრო და უწყება.

— რაც შეეხება საქართველოში პურის ცხობის პრობლემას, — თქვა შემდეგ მან, — ვიტყოდი, რომ 1989 წლამდე პურის ცხობის ტემპი ნელდებოდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ პურის გარდა, რესპუბლიკის მოსახლეობა ჩვენგან იღებდა ფართო ასორტიმენტის პურპროდუქტებსაც თანაც, არ იყო კვების სხვა პროდუქტების ასეთი დეფიციტი, ასე მწვავედ არ იდგა კომბინირებული საკვების პრობლემაც. ამ მიზეზების გამო გაიზარდა კიდეც მოსახლეობის მოთხოვნილება პურზე.

— რაც შეეხება პურის ფასს, — გვითხრა ბატონმა გ. ჩოკორაიამ, — იგი უშუალოდაა დამოკიდებული ხორბლის მსყიდველობით ღირებულებაზე, რომელიც, სამწუხაროდ, იზრდება და შესაბამისად, არავის არ უნდა გაუკვირდეს, თუ მოგვიწევს პურის ფასის მომატება. საბედნიეროდ, ჯერჯერობით ჩვენთან პურის ფასები წინანდელია.

სეისი.

## მწვავე სიგნალი

# მივხედოთ ძეგლებს

**მიმდინარეობს** მე-6 საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლის დმანისის სიონის სარესტავრაციო სამუშაოები. სამნავიანი სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპის ტაძარი, სადაც მე-6-მე-8 საუკუნეებში დმანისის საეპისკოპოსო კათედრალი იყო მოთავსებული, ამჟამად მუზეუმ-ნაკრძალ დმანისის ნაქალაქარში შედის და მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლადაა აღიარებული.

დმანისის რაიონი მდიდარია ისტორიული ძეგლებით, აქ 150-მდე ძეგლია შესწავლილი და აღრიცხული. განთქმული ქართველი ოსტატების რუდუნებით შეიქმნა უნიკალური შედევრები: „ლამაზი საყდარი", სოფელ ბოსლების სამების ეკლესია, გომარეთის სტელები, თეკენების ეკლესია და სხვა მრავალ ქარტეხილს გამოვლილი წარსულის ეს უტყვი მატიანენი.

კომუნისტების მასხვრალმა ხელმა ისტორიის, კულტურისა და ბუნების მრავალი ძეგლი მოსპო და იავარყო, მაგრამ ქართველობაში მაინც ვერ ჩაკლა ქრისტეს დიადი რწმენა: როცა საშუალება მიეცათ, ფართოდ გაიშალა ძეგლთა აღდგენის სამუშაოები. პირვანდელი სახე დაიბრუნა შინდლარის ეკლესიამ, სოფლის მკვიდრთა შრომითი მონაწილეობით შეკეთდა განთიადისა და ჯავახის ეკლესიები.

მაგრამ ძეგლები მაინც ჯერ კიდევ ელიან მზრუნველ ხელს. თუ დროზე არ გაამაგრეს სოფელ ტნუსის ტყეში მოთავსებული სამრეკლოს ბოძები, იგი დაინგრევა და სანანებელი გაგვიხდება. ღია ცის ქვეშაა გომარეთის უძველესი სტელები, ხოლო ბეტონითაა ამოქოლილი სოფელ ზემო ოროზანის ეკლესიის კარი. მისასვლელი არ აქვს ქალაქ დმანისში ს. ვერეშჩაგინის საკარმიდამოში მოქცეულ ტაძარს.. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტების შესახებ არა ერთხელ აღიმაღლა ხმა რაიონის საზოგადოებრიობამ, გაზეთმა „თრიალეთმა", ეს ხმა მაინც დარჩა მხოლოდ „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

ძეგლი ჩვენი ისტორიული წინაპარია და მას გაფრთხილება და მოვლა სჭირდება, რისთვისაც აქტიურად უნდა დაირაზმოს საზოგადოებრიობა, მთელი მოსახლეობა. ამ საქმეზე დახარჯული თანხები დიდ მორალურ უკუგებას მოგვცემს. ახლა ამ საკითხში მთელი პასუხისმგებლობა რაიონის პრეფექტურას ეკისრება, რომელსაც ჯერჯერობით სასურველი ნაბიჯი არ გადაუდგამს ამ კეთილშობილური საქმის წარმატებით წარმართვისათვის.

სეისი.

## მუსიკა

# პრემიების „წვიმა"

**ცნობილი** გახდა, რომ დვორჟაკის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსზე ჩეხეთ-სლოვაკეთის საკურორტო ქალაქ კარლოვი ვარში დიდ გამარჯვებას მიაღწია ოდესის კონსერვატორიის მეხუთე კურსის სტუდენტმა შალვა მუქერიამ. მისი ხელოვნება ამ პრესტიჟულ დათვალიერებაზე მეორე პრემიით აღინიშნა და აქვე გაისად ხელოვნების ფესტივალზე მიწვევის უფლებაც დაიმსახურა.

შალვა მუქერიამ თბილისში მიიღო მუსიკალური განათლება— დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის საორკესტრო ფაკულტეტი. შემდეგ იგი ჩაირიცხა ოდესის კონსერვატორიის მეორე კურსზე გამოჩენილი პედაგოგის ევგენი ივანოვის კლასში. აღსანიშნავია, რომ ამ პედაგოგთან თავის დროზე მეცადინეობდა ჩვენი სასიქადულო მომღერალი პაატა ბურჭულაძე.

დვორჟაკის კონკურსზე შალვა მუქერიას გამარჯვება ქართული ვოკალური მუსიკალური სკოლის კიდევ ერთი აღიარებაა. ახალგაზრდა ვოკალისტი მიწვეულია აგრეთვე პრაღის მუსიკალურ გაზაფხულში მონაწილეობის მისაღებად. ზაფხულში კი, კერძოდ 13 ივნისს შესაძლებლობა ექნება შეხვდეს ბილბაოს მსმენელებს. ბასკეთის ამ ქალაქში გაიმართება კონცერტი, რომლის ორგანიზატორიც პაატა ბურჭულაძეა.

შალვა მუქერია მუსიკოსთა ოჯახიდანაა, მისი ძმაც — ასევე თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებულია და ახლა აჭარის სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია.

სასიხარულო ცნობა მოვიდა ინგლისიდანაც, ქალაქ ნიუპორტიდან: აქ გამართულ პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე თბილისის კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა ქეთინო ბადრიძემ (თეიმურაზ მათურელის კლასი) მეორე პრემია დაიმსახურა. ინგლისურმა გაზეთებმა მაღალი შეფასება მისცეს ქართველი ქალიშვილის ოსტატობას. ერთ-ერთი გაზეთი სინანულითაც კი წერდა, რომ თბილისელი პიანისტი ნამდვილად იყო პირველი პრემიის ღირსი. დასკვნით კონცერტზე ქეთინო გამოვიდა ბი-ბი-სის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, შეასრულა შუმანის ურთულესი კონცერტი და სპეციალისტთა უმაღლესი შეფასება მიიღო. ამ ტრადიციული კონკურსის დიპლომანტი გახდა აგრეთვე ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის მესამეკურსელი ინგა ქაშაკაშვილი.

და კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულის — ახალგაზრდა კომპოზიტორის, ამჟამად ლუბეკის (გერმანიის) უმაღლესი მუსიკალური სკოლის სტუდენტის რევაზ კიკნაძის წარმატების შესახებ. უკვე რამდენიმე თვეა პროფესორ ფრიდჰელმ დოელის ხელმძღვანელობით იგი აქ ოსტატდება კომპოზიციაში და ცნობილი ქართველი მევიოლინის ლიანა ისაკაძის ფონდიდან იღებს სტიპენდიას. რევაზ კიკნაძის „მელიზმები" სიმფონიური ორკესტრისათვის, რომელიც სამი წლის წინათ შექმნა, შესრულდა ამერიკაში, ტენესის შტატში. ამას წინათ ლუბეკის გაზეთმა დაბეჭდა წერილი „მოკლე გზა ჯაზიდან სერიოზულ მუსიკამდე", რომელშიც მაღალი შეფასება მისცა ქართველი ჭაბუკის შემოქმედებას.

მადლობის მეტი რა გვეთქმის ამ ახალგაზრდებისადმი.

**მერი ბაზრიაძე,**
სეისის კორესპონდენტი.

## მხატვრობა

# ალბომი ლადო გუდიაშვილზე

**რა** მალე გასულა თერთმეტი წელი გენიალური მხატვრის გარეშე!

ყველას, ვინც იცნობდა ან არ იცნობდა მას, ისეთი გრძნობა დაუფლებია, თითქოს ლადო გუდიაშვილი ცოცხალია და თავის განუმეორებელი მზერით სიყვარულით გასცქერის სათაყვანებელ საქართველოს. რა ჭირ-ვარამი არ გადახდა თავს ამ ჭეშმარიტ ხელოვანს. ცოდვებად დაედო საზღვარგარეთ ყოფნა თუ ქაშუეთის ეკლესიის მოხატვა, „თანამედროვე" თემატიკის უგულებელყოფა და მისი ყველასაგან განსხვავებული, თავისთავადი ხელწერაც კი... მაგრამ ტყუილად როდი თქმულა: ყოველივე უდიდესი უკეთ წარმოჩინდება ჟამთა სიმაღლიდანო... მართლაცდა, რაც დრო გადის, უფრო მკვეთრად ჩანს, თუ რა ბუმბერაზი შემოქმედი იყო ლადო გუდიაშვილი, რა მყარად ეფუძნებოდა მისი პალიტრა ქართული სახვითი ხელოვნების უძველეს ტრადიციებს.

ბედნიერებაა ყოველი ახალი შეხვედრა ლადო გუდიაშვილის შემოქმედებასთან. და აი, ახლახან დიდი მხატვრის ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურას შეემატა ახალი ფოტოალბომი, რომელიც ქართული კულტურის მხცოვანმა მოამაგემ, ფოტოხელოვანმა დიმიტრი მძინარიშვილმა შეადგინა. წინასიტყვაობა დაურთო აკადემიკოსმა ვახტანგ ბერიძემ. მან ღრმა ანალიზი გაუკეთა მხატვრის შემოქმედებით გზას და ასეთ დასკვნამდე მივიდა: „ეს მეზღაპრე, ეს ფანტასტი ლადო გუდიაშვილი სრულიადაც არ ყოფილა ბროლის კოშკში გამოკეტილი, არამედ ყოველთვის თავისი ხალხისა და დღევანდელი დღის ცხოვრებით ცხოვრობდა, არა როგორც ფაქტების რეგისტრატორი, არამედ როგორც სრულიად თავისებური, სუბიექტური ხედვის მხატვარი. მხატვარი — პოეტი, მხატვარი — რომანტიკოსი, თავისი სამშობლოს მომღერალი და მეხოტბე".

ალბომი იხსნება ლადო გუდიაშვილის მშობლების — ელისაბედ და დავით, ძმის — ვახტანგ გუდიაშვილის პორტრეტებით, რამდენიმე გვერდი ეთმობა ლადოს ახალგაზრდობას, პარიზის პერიოდს, მის ოჯახს. შთამბეჭდავია გვერდები, რომლებიც შემდგენელმა ლადოს საზოგადოებასთან, მის საზღვარგარეთელ სტუმრებთან, რუსი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ურთიერთობას, განსაკუთრებით კი, მის შემოქმედებას მიუძღვნა.

ალბომი მართლაც დიდი შენაძენია ლადო გუდიაშვილის თაყვანისმცემლებისათვის, ბატონმა დიმიტრი მძინარიშვილმა რამდენიმე წლის წინათ გამოსცა ალბომი „კონსტანტინე გამსახურდია", რომელიც ასევე შესანიშნავ მოვლენად იქცა. ცნობილმა ქართველმა ფოტოხელოვანმა არა ერთი შთამბეჭდავი ფოტოსურათი შემოუნახა თავის ხალხს. მათ შორის არის ერის გამორჩეული შვილების, მათი საქმიანობის ამსახველი ფოტოები. ხელოვანის არქივში დაცულია მრავალი ფოტო და ნეგატივი. ყოველივე ამას, — ამბობს ბატონი დიმიტრი, — სიყვარულით და მოკრძალებით ვუძღვნი თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩემს სამშობლოს.

სეისი.

## რეკლამა

### საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტრო

აცხადებს, რომ სამინისტროს გამგებლობაში მყოფ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალური ინტერესების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კომპლექსი (კონცერნი).

კონცერნის ძირითადი ამოცანაა მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, გადამუშავება და მისი მიწოდება საწარმოებზე, აგრეთვე თავისუფალი რეალიზაცია, საფირმო ვაჭრობის ქსელისა და საზკვების ობიექტების განვითარება, საბინაო და დასასვენებელი კომპლექსების მშენებლობა.

კონცერნი უფლებამოსილია საკუთარი და დაინტერესებული წევრების ხარჯზე შექმნას ახალი მეურნეობები და საწარმოები, კომერციული ცენტრები, საფირმო მაღაზიები, საკუთრივ ან შემავალ საწარმოებთან ერთად დაარსოს საზღვარგარეთული ფირმების მონაწილეობით ერთობლივი საწარმოები და სხვა სტრუქტურული ერთეულები.

კონცერნში ნებაყოფლობით გაერთიანება შეუძლიათ, როგორც რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ მოქმედ სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კოოპერატიულ, საიჯარო, ინდივიდუალურ-ფერმერულ მეურნეობებს და სხვა ფორმირებებს.

მსურველმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა განცხადება და შრომითი კოლექტივების გადაწყვეტილება უნდა წარუდგინონ კონცერნის ხელმძღვანელობას.

დაინტერესებულებს მათთვის საჭირო კონკრეტულ საკითხებზე შეუძლიათ მიმართონ კონცერნის ხელმძღვანელობას მისამართით:

ქ. თბილისი 380064, მარჯანიშვილის ქ. № 44
**ტელეფონები:** 95-17-46
96-72-92

## გამოსათხოვარი

# აკაკი სურგულაძე

ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის რუსეთის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი აკაკი ნესტორის ძე სურგულაძე.

აკაკი სურგულაძე დაიბადა 1913 წელს სოფელ შემოქმედში. 1934 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, მისი მასწავლებლები იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, მიხეილ პოლიევქტოვი.

1941 წლიდან უნივერსიტეტის ასპირანტი აკ. სურგულაძე მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. 1949 წელს აკ. სურგულაძე ხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი. მან განვლო ნაყოფიერი გზა რიგითი მუშაკიდან ისტორიის ფაკულტეტის ერთ-ერთ აღიარებულ ხელმძღვანელამდე. 1953-1957, 1972-1978 წლებში იყო ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, 1958 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე ასრულებდა რუსეთის ისტორიის კათედრის გამგის მოვალეობას. 1974 წელს აკაკი სურგულაძე არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

აკაკი სურგულაძის მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა უმთავრესად ეძღვნება საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიას. მის კალამს ეკუთვნის მონოგრაფიული გამოკვლევები: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა", „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში", „ქართული დემოკრატიული ინტელიგენცია რუსეთის ხამ რევოლუციაში", „ექვთიმე თაყაიშვილი".

აკ. სურგულაძე იყო მრავალტომეულის, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" თანაავტორი და ერთ-ერთი რედაქტორი. მან ვითარცა რედაქტორმა და ერთ-ერთმა ავტორმა, დიდი ენერგია ჩააქსოვა „თბილისის ისტორიის" II ტომის შექმნაში.

მეცნიერის შემოქმედებაში სათანადო ადგილი უკავია ქართული კულტურის ისტორიის შესწავლას. იგი ავტორია კაპიტალური სამტომეული ნაშრომისა „ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები", რომელიც ქართული კულტურის ისტორიის სისტემატიზებული შესწავლის ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენს.

მიუხედავად იმ პერიოდში გაბატონებული იდეოლოგიური დოგმებისა, აღნიშნულ მონოგრაფიებში ავტორი მაინც ახერხებდა საქართველოს ისტორიის აქტუალური საკითხების არაორდინარულ გაშუქებას.

აკ. სურგულაძემ ერთ ერთმა პირველმა გააკრიტიკა საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მიღებული სქემები. მან მონაწილეობა მიიღო ცნობილი ისტორიულ-სამართლებრივი ნარკვევის შექმნაში, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებას 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შესახებ.

აკ. სურგულაძე ხუთი ათეული წლის განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას, იყო უბადლო ორატორი. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა მრავალი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია. იგი ავტორია სახელმძღვანელოებისა: „რუსეთის იმპერია XIX საუკუნეში, „რუსეთი იმპერიალიზმის ეპოქაში", რისთვისაც მას უნივერსიტეტის პირველი პრემია მიენიჭა.

ახლახან აკ. სურგულაძის თანაავტორობით გამოიცა საკითხავი წიგნი საქართველოს ისტორიაში (1783-1990 წ.წ.) რომელმაც დიდი სამსახური გაუწია მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას, მკითხველთა ფართო წრეს.

აკ. სურგულაძე საქართველოს საზღვრებს გარეთაც აღიარებული მკვლევარი იყო და მის ნააზრევს ყოველთვის ანგარიშს უწევდნენ. აკ. სურგულაძე იყო საქართველოს სახელმწიფო და ს. ჯანაშიას სახელობის პრემიების ლაურეატი.

გულსატკენია, რომ ბატონმა აკაკიმ ვერ მოასწრო თავისი შემოქმედებითი გეგმების სრულად განხორციელება. მისი გარდაცვალება ქართული მეცნიერების დიდი დანაკლისია.

**თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია; საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო; საქართველოს საისტორიო საზოგადოება.**

## მადლობა

**დამწუხრებული** მშობლები დიდ მადლობას მოვახსენებთ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ მურმან ომანიძეს, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატს ბატონ კუკური ჩაფიჩაძეს, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის კანცელარიის მმართველს ბატონ ალექსანდრე ლანდიას და ყველა იმ პირს, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი დიდი მწუხარება და მაქსიმალურად დაგვეხმარნენ ავტოკატასტროფაში დაღუპული ჩვენი შვილის — ნათელა ვასილის ასულ სირაძის ცხედრის ბუქარესტიდან ქ. თბილისში ჩამოსვენებაში.

**მშობლები.**

# სიახლე პედიატრიულ პრაქტიკაში

**კლინიკურ** პედიატრიაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებებს, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს დაავადების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში, რასაც სამწუხაროდ, დღემდე—სათანადო ყურადღება არ ექცევა. აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების საშუალებას გვაძლევს გერმანელი მეცნიერის რეინჰოლდ ფოლის მიერ მოწოდებული ელექტროპუნქტურული დიაგნოსტიკისა და მედიკამენტოზური ტესტირების მეთოდი.

ფოლის მეთოდი პრინციპულად განსხვავდება დღემდე არსებული სადიაგნოსტიკო სისტემური მეთოდებისაგან. ის პირველად საქართველოში პედიატრიულ პრაქტიკაში დაინერგა პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური ალერგოლოგიის განყოფილებაში ალერგიულ დაავადებათა (ბრონქული ასთმა, კანის ალერგიული დაავადებები და სხვა) დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის. რ. ფოლის მიერ ტიბეტურ მერიდიანულ მედიცინაზე დაყრდნობით მოწოდებულ იქნა ორგანიზმის 20-მდე მერიდიანის წარმომადგენლობითი წერტილები, რომელთა ელექტრომექანიკური თვისებების დადგენით შესაძლებელია უსისხლოდ, ყოველგვარი ინექციის, დასხივების, ზონდის და საკონტრასტო ნივთიერებების გარეშე, მხოლოდ ბავშვის ენერგეტიკის ცვლილებებით განხორციელდეს ალერგიულ დაავადებათა დიაგნოსტირება, ფარულად მიმდინარე ალერგიული პროცესის დადგენა, გამოვლენილი ალერგიული დაავადების მიზეზობრივი აგენტის დაზუსტება, თანარსებული პათოლოგიის გამოყოფა.

მეთოდის უნიკალურობა გამოიხატება იმითაც, რომ დიაგნოსტიკის პერიოდშივე დგინდება ოპტიმალური მკურნალობის ტაქტიკა მედიკამენტის მიმართ ბავშვის ინდივიდუალური მგრძნობელობის გათვალისწინებით.

**თამაზ ჭურაძე,**
პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
**დოდო მამფორია,**
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

მთავარი რედაქტორი მარიკა [illegible]

მისამართი: 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14,
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-24;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით [illegible]
[illegible] ქ. № 29.
ინდექსი 64434.

რედაქციაში შემოსულ მასალებს
ავტორებს არ უბრუნებთ

საქართველოს რესპუბლიკა